ა-54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34(05)
ა-54.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1934 წლის თებერვლის 15	№ 3-4 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

1573.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 27. სამინდო გამოსაღების შესახებ.
28. უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

29. საშემოდგომო თესვის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადების და ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანათა შესახებ.
30. ყამარლუს (სომხეთის სსრ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ.
31. „საბჭოების საორგანიზაციო მასსური მუშაობის განმტკიცების თაობაზე" გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების ქურდამირის რაიონში რეალიზაციის შესახებ.
32. ადიგენის რაიონში საბჭოების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.
33. 1933 წელს რძისა და ხორცის ჩაბარების შედეგებისა და 1934 წელს ამავე პროდუქტების ჩაბარების ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანათა შესახებ.
34. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 46 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.
35. ა/კსფსრ-ში საგზაო (ურელსო) მშენებლობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

36. მარცვლეულის დაუქვის შეზღუდვის გაუქმების შესახებ.
37. ა/კსფსრ-ში ტყავ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადების წესის შესახებ.
38. 1934 წელს ა/კსფსრ ქალაქებში და სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის დადგენილი გამოსაღების შესახებ.
39. „1934 წელს ა/კსფსრ ქალაქებში და სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის დადგენილი გამოსაღების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 29-ის დადგენილების დამატების შესახებ.

40. 1934 წელს რამის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ.
41. ა/კსფსრ საძოვართა გამოყენების წესის შესახებ.
42. საგაზაფხულო კამპანიის დროს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.
43. 1934 წელს ა/კსფსრ-ში კვერცხის ცენტრალიზებული წესით დამზადების გეგმის შესახებ.
44. სათბობი და საცხები მასალით საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უზრუნველყოფის შესახებ.
45. 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.
46. ა/კსფსრ-ში 1934 წლის იანვრის 1-თვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ.
47. ა/კსფსრ-ში ყვითელი თამბაქოს სარგავი ფართობებისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

27. სამინდო გამოსაღების შესახებ.

„სახელმწიფოსათვის პროდუქტების ნატურად ჩაბარების ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო დადებული ჯარიმების განაწილების წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 28 №-ი, მუხ. 166)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „სამინდო გამოსაღების შესახები“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 4-ის დადგენილების მე-9 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

2. სამინდო გამოსაღების წესების დარღვევის გამო გადასახდევინებელი ფულადი ჯარიმის განაწილების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 27-ის დადგენილება „სახელმწიფოსათვის პროდუქტების ნატურად ჩაბარების ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო დადებული ჯარიმების განაწილების წესის შესახებ“

3- წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. იანვრის 7.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

28. უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ.

„უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის სსრკ-ის ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახები“ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართ საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 13-ის დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 59 №-ი, მუხ. 355)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. მიეწოდოს უფასოდ, სავალდებულო წესისამებრ, (სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 13-ის დადგენილების მე-3 მუხლით დაწესებული ნორმის ზედმეტად) ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული ყველა გამოცემის ერთი დამატებითი ცალი:

1. საქართველოს საჯარო ბიბილიოთეკას ტფილისში;
2. აზერბაიჯანის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ბაქოში;
3. სომხეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ერივანში.

II. მიეწოდოს უფასოდ, სავალდებულო წესისამებრ, ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემის ერთი ცალი იმ ენაზე, რაც ნაჩვენებია ქვემოდ თვითეული ბიბლიოთეკისათვის:

1. საჯარო ბიბლიოთეკის ქუთაისის ფილიალს ქუთაისში—ქართულ და რუსულ ენაზე;
2. აჭარისტანის საჯარო ბიბლიოთეკას ბათუმში—ქართულ, თურქულ, რუსულ, სომხურ და ბერძნულ ენაზე;
3. სოხუმის საჯარო ბიბლიოთეკას სოხუმში—აფხაზურ, ბერძნულ, ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე;
4. სამხრეთ-ოსეთის საჯარო ბიბლიოთეკას სტალინირში—ოსურ, ქართულ რუსულ და სომხურ ენაზე;
5. განჯის ცენტრალურ ბიბლიოთეკას—რუსულ, თურქულ და სომხურ ენაზე
6. ნახიჩევანის ბიბლიოთეკას—თურქულ, რუსულ და სომხურ ენიზე;
7. სტეფანაკერტის ბიბლიოთეკას—სომხურ, თურქულ და რუსულ ენაზე;
8. ლენინაკანის საქალაქო ბიბლიოთეკას ლენინაკანში—სომხურ, რუსულ, თურქულ და ქურთულ ენაზე.

III. მიეწოდოს უფასოდ, სავალდებულო წესისამებრი, ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების ერთი ცალი, წიგნის პალატების კლასიფიკაციის, განსაზღვრულ განყოფილებათა მიხედვით გადარჩეული:

1. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიბლიოთეკას რუსულ, ქართულ, თურქულ და სომხურ ენაზე;

2. მარქსიზმ-ლენინიზმის რესპუბლიკანური ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს ტფილისსა, ბაქოსა და ერივანში—რუსულ, თურქულ და სომხურ ენაზე, ხოლო ტფილისის ბიბლიოთეკას—აგრეთვე ქართულ ენაზე;

3. ეჩმიაძინის ბიბლიოთეკას ეჩმიაძინში—ყველა ენაზე;

გამოცემათა გადარჩევა მოხდება წიგნის პალატებთან იმ დაწესებულებათა შეთანხმებით რომლებთანაც ეს ბიბლიოთეკები არსებობენ.

IV. უფასო ცალების განაწილება სწარმოებს წიგნის პალატების მეშვეობით, ხოლო ფასიანი ცალების განაწილება—სახელმწიფო გამომცემლობებთან ან წიგნის პალატებთან არსებული სპეციალური კოლექტორების მეშვეობით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებების თანახმად.

V. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ:

1. შეუთანხმონ ერთი თვის ვადაზე თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას;

2. მიანდონ თავიანთი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს გამოსცენ ინსტრუქციები, რაც უზრუნველჰყოფს სავალდებულო ცალების დამუშავებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას.

VI. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუძლიანთ დააწესონ უფასო მიწოდება უნივერსალური ბიბლიოთეკებისათვის, ამა დადგენილების I და II მუხლებში აღნიშნული სავალდებულო ცალების გარდა, აგრეთვე თავისი რესპუბლიკის ყველა გამოცემისა.

VII. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. მაისის 17-ის დადგენილება „უაღრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსული ყველა გამოცემის მიწოდების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. № 13-ი, მუხ. 110).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. მარტიკიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1934 წ. იანვრის 7.
ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

29. საშემოდგომო თესვის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადების და ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანათა შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება საშემოდგომო თესვის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მოხსენება—ამ კამპანიაში საბჭოების ამოცანათა შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არეზიდიუმი აღნიშნავს: პირველი, რომ თუმაც 1933 წლის საშემოდგომო თესვის კამპანიის დროს მიღწეულ იქნა თვალსაჩინო წარმატებანი 1932 წელთან შედარებით (თესვის უფრო ადრე დამთავრება, თესლის გაწმენდისა და დაწამლვის დიდი პროცენტი და სხვა მისთ.), მაინც მოიპოვება მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში: გადაცდენილი იყო საშემოდგომო თესვის ვადები, განსაკუთრებით აზერბაიჯანის სსრ-ში, მთლად არ იქნა გაწმენდილი და დაწამლული თესლი ცალკეულ რაიონებში, დარღვეული იყო სათესლე ფონდების დაგროვების ვადები, არ იქნა შესრულებული აგროწესები ყველა რესპუბლიკაში, არ არსებობდა კონტროლი ამ წესების შესრულებისათვის და სუსტი იყო ბრძოლა მოსავლიანობისათვის; მეორე, რომ წარსული საშემოდგომო თესვის კამპანიის დროს სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სასოფლო საბჭოებმა თვალსაჩინოდ გააძლიერეს მუშაობა თესვაში მასსების ჩაბმისათვის, მაგრამ მაინც ვერ შექმნეს ძირითადი გარდატეხა საბჭოების საორგანიზაციო მუშაობაში საშემოდგომო თესვისათვის და ვერ უზრუნველჰყვეს კონკრეტული ხელმძღვანელობა საშემოდგომო თესვის საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის.

წინამდგომარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს, როდესაც არსებობს წარსული წლების მდიდარი გამოცდილება და სოფლის მეურნეობა უფრო მეტად არის გაძლიერებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, კამპანიის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია უფრო მეტად, ვიდრე ეს წარსულ წელს იყო, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების უნარზე—მობილიზებულჰყონ კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა მასსები საგაზაფხულო თესვის ამოცანათა გარშემო, სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას მოსავლიანობისათვის, კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისათვის, მათი ბოლშევიკურ მეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეების შეძლებულ მეურნეებად გადაქცევისათვის.

ზემოაღნიშნულის მიხედვით და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადებისა და წარმატებით ჩატარების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ, „ 1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესახებ“ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 9-ის დადგენილების საფუძველზე, ავტონომიებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს:

ა) გაშალონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის საწარმოო გეგმების ფართო განბჭობა კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირებზე, დეპუტატთა ჯგუფებში, საკომლო ათეულებში და სხვა მისთ. და აგრეთვე განახორციელონ საწარმოო-საფინანსო გეგმების თავის დროზე შედგენა კოლექტიურ მეურნეობებში, მიაწვდინონ გეგმები ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებამდე და მისცენ მტკიცე დავალებანი კულაკურ მეურნეობებს;

ბ) შეამოწმონ დეპუტატთა ჯგუფების და სასოფლო საბჭოების სექციების შეშვეობით, თუ რამდენად უზრუნველყოფილ არიან თესლით საკოლმეურნეო და ინდივიდუალური სექტორები, გამოარკვიონ შინაგანი სათესლე რესურსები, ხელი შეუწყონ თესლის რაიონთა შორის გადაგზავნ-გადმოგზავნას და თავის დროზე უზრუნველჰყონ თესლით როგორც საკოლმეურნეო, ისე ინდივიდუალური სექტორი, მოაწყონ თესლის თვისებისა და აღმოცენება-უნარიანობის შემოწმება, მიამაგრონ კოლექტიურ მეურნეობებსა და სოფლებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების წევრები და დააკისრონ მათ პასუხისმგებლობა სათესლე მასალის შენახვისა და თვისებისათვის; აგრეთვე მოაწყონ დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით თესლსათავსთა სპეციალური დაცვა;

გ) მოაწყონ სარწყავი სისტემების გაწმენდის გეგმების ფართო განხილვა, უზრუნველჰყონ თვიურის წარმატებით ჩატარება, მიაწვდინონ სარწყავი გეგმები ყველა კოლექტიურ მეურნეობამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე და მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება წყალსაქანთა და მთელი საირიგაციო ქსელის განმზადებას და რემონტს;

დ) ჩაატარონ ფართო აღსნა-განმარტებითი კამპანია მოსავლიანობის გადიდებასთვის, მინერალურ სასუქთა მნიშვნელობის თაობაზე, განიხილონ სასოფლო საბჭოების მასსურ ორგანიზაციებში მინერალური სასუქის შეტანის გეგმები და მოაწყონ ნამდვილი კონტროლი ამ გეგმების ზედმიწევნით შესრულებისათვის;

ე) გაუწიონ ფხიზელი მეთვალყურეობა ტრაქტორებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის რემონტს, რისთვისაც სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების შედგენილობიდან გამოჰყონ საამისოდ პასუხისმგებელი სპეციალური რწმუნებულნი; დაამყარონ გარკვეული კონტროლი რემონტის თვისებისათვის, ქონებული ტრაქტორების მთლად გამოყენებისათვის და თავის დროზე სათბობი მასალის მიწოდებისათვის;

3) შეამოწმონ სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით ცოცხალი საწევი ძალის მდგომარეობა, მისი უზრუნველყოფა ფურაჟით და მესაბმელობით და მუშა-საქონლის მზადყოფა საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის;

ზ) დაამუშაონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, სოფლის ყრილობებზე და სხვა მისთ. სავალდებულო აგროწესები, მოაწყონ კოლექტიურ მეურნეობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიგადებისათვის აგროგანწესების ფართო განბჭობა და აგრეთვე მოაწყონ კომისიები აგროკონტროლისათვის და ინსპექციები ხარისხისათვის, დააკისრონ-რა მათ პასუხისმგებლობა აგროწესების განხორციელებისათეის; გააძლიერონ სექციებისა, დეპუტატთა ჯგუფებისა და ათკომლეულების მეშვეობით ბრძოლა ყველა აგროწესის სავსებით ჩატარებისათვის;

თ) მობილიზებულჰკონ კოლმეურნეთა მასსების ყურადღება თესლთბრუნვის საკითხების გარეშემო და მიაწვდინონ თესლთბრუნვის შემოღების საბოლოო გაზუსტებული გეგმები კოლექტიურ მეურნეობებამდე და ბრიგადებამდე; მოაწყონ დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით კოლექტიურ მეურნეობებში თესლთბრუნვის შემოღებისათვის საჭირო მუშაობის მსვლელობის სისტემატური შემოწმება.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადებასა და ჩატარებაში კოლმეურნე-ქალთა და ინდივიდუალურ მეურნე-ქალთა ჩაბმას და იხმარონ ღონისძიება მათ შორის მასსური ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლისათვის, კოლექტიურ მეურნეობებში ქალთა შრომის ორგანიზაციისათვის და ისეთი პირობების შექმნისათვის, რაც უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობაში ქალთა შრომის შთანერგვას, კერძოდ—საბავშვო ბაგებისა, საბავშვო ბაქნებისა, საზოგადოებრივი კვების და სხვ. მისთ. მოწყობას.

3. ვინაიდან საგაზაფხუფო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მასსური კადრებით და მუშა-ძალით უზრუნველყოფას, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მუშა-ძალის თავის დროზე ორგანიზაციას და მეველეობის მცოდნე პირთა, ტრაქტორისტთა, ბრიგადირთა და სხვა მისთ. კადრების მომზადებას.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მიაწოდონ თავის დროზე ადგილებს საჭირო პოპულარული ლიტერატურა საგაზაფხულო თესვის შესახებ და მოაწყონ ცოცხალი ინსტრუქტაჟი და გაუწიონ დახმარება ცალკეულ რაიონებს და სასოფლო საბჭოებს თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური გაზეთების რედაქციებს მოაწყონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადებისა და ჩატარების საქმის მსვლელობისა და ამ კამპანიაში საბჭოების მონაწილეობის ფართო გაშუქება.

6. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—მოაწყოს სისტემატური მეთვალყურეობა საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადების მსვლელობისათვის და ა/წ.

თებერვალში წარმოუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მოხსენება საგაზაფხულო თესვის მომზადების საქმეში საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი**

ამიერკავკასიის ცენტრალური.
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. იანვრის 10.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

30. ყამარლუს (სომხეთის სსრ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოისმინა-რა ყამარლუს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კ. აზიზიანის მოხსენება ყამარლუს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებისა და სომხეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების კონკრეტული ხელმძღვანელობისა და პრაქტიკული დახმარების მეოხებით და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის აქტიური მუშაობის შედეგად ამ რაიონის საბჭოების საორგანიზაციო-მასსური მუშაობა გაცხოველებულია და გარდაქმნილი სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საბჭოების საორგანიზაციო-მასსური მუშაობის შესახებ გამოცემული დადგენილების საფუძველზე; განსაზღვრული წარმატებანია მიღწეული კოლექტიური მეურნეობების სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების საქმეში: განმტკიცებულია საბჭოების მასსური ორგანიზაციები—სექციები და დეპუტატთა ჯგუფები, რომელთა გარშემო შეკრულია კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა თვალსაჩინო და მტკიცე აქტივი; სისტემატურად მიმდინარეობს საბჭოთა დღები; განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული კულტურულ მუშაობაზე სანაპირო სოფლებში; ფართოდ დაყენებული საბჭოების ორგმასსური მუშაობისა, კულაკურ საბოტაჟთან ბრძოლისა და კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე ყამარლუს სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესძლო ყველა სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო-

სადმი ვალდებულების შესრულება და გადამეტებით შესრულება (ბამბისა—100%-ით, ყურძნისა—95%-ით, ბოსტნეულისა—145%-ით, ფულადი რესურსების მობილიზაციისა—100%-ით და სხვა მისთ.).

ამ მიღწევებს მთელი რაიონის მასშტაბით—თანა სდევს ცალკეული საბჭოების სუსტი მუშაობა (დალიარი, დარგალუ, სეინკლი, არტაშატი); ამ რაიონებს ჯერ არ გარდაუქმნიათ და არ გაუშლიათ ორგმასსური მუშაობა, საკმარისად არ განუვითარებიათ რაიონებში შრომის სოციალისტური მეთოდები (დამკვრელობა და სოცშეჯიბრება) ცალკეულ საბჭოებსა, მათ სექციებსა, დეპუტატთა ჯგუფებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და სხვა მისთ. შორის; სარაიონო პრესსა საკმარისად არ იღებს მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში და სხვა მისთ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მიაჩნია ზემოაღნიშნული მიღწევანი საბჭოების მუშაობისა ყამარლუს რაიონში ამ მუშაობის სამაგალითოდ დაყენების დასაწყისად და იგი, პრეზიდიუმი, ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყამარლუს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) მტკიცედ ჩაატაროს შემდგომი ღონისძიებანი საბჭოების ორგმასსური მუშაობის გაძლიერებისათვის სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე;

ბ) მიაქციოს უახლოესი პერიოდის განმავლობაში თავისი ყურადღება საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას და მიაღწიოს ყველა მაჩვენებლის შესრულებას იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 9-ის დადგენილებაში „1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესახებ“ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. იანვრის 10-ის დადგენილებაში „საშემოდგომო თესვის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადებისა და ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანათა შესახებ“; თანაც გაშალოს ბრძოლა კულაკურ საბოტაჟთან.

2. წინადადება მიეცეს სომხეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—გააძლიეროს ხელმძღვანელობის გაწევა ყამარლუს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისათვის მიღწეულ წარმატებათა განსამტკიცებლად და საბჭოების მუშაობის გარდაქმნის სფეროში ამ რაიონის მიერ მოპოვებული გამოცდილების სომხეთის სსრ-ის სხვა რაიონებისათვის გადასაცემად.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—განაგრძოს ხელმძღვანელობის გაწევა ყამარლუს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობისათვის და გაუწიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას სისტემატური კონკრეტული დახმარება საბჭოების ორგმახსური მუშაობის განმტკიცების საქმეში და საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით მომზადებასა და ჩატარებაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია**

1934 წ. იანვრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

31. „საბჭოების საორგანიზაციო-მასსური მუშაობის განმტკიცების თაობაზე" გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების ქურდამირის რაიონში რეალიზაციის შესახებ.

მოისმინა-რა ქურდამირის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ქერიმოვის მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენება „საბჭოების საორგანიზაციო-მასსუი მუშაობის განმტკიცების თაობაზე" გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების რეალიზაციის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თუმცა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პასუხისმგებელი ინსტრუქტორები სისტემატურ დახმარებას უწევდნენ ადგილებზე ცალკეულ სასოფლო საბჭოებს, მაინც მათ მიერ ჩატარებული მუშაობა განმტკიცებული არ არის და მათი გარდაქმნის გამოცდილება გადაცემული არა აქვთ სხვა სასოფლო საბჭოებს, რადგანაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი მხოლოდ ფორმალურად მოეკიდა ამ საქმეს; რომ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის ს-მხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება საბჭოების ორგმასსური მუშაობის გაძლიერების შესახებ შესრულებულია რაიონში მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც მარტო უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, ახალი ხელმძღვანელობის დროს; ამასთანავე,

გაცხოველებულია სასოფლო საბჭოების ზოგიერთი სექციის მუშაობა (მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, საგზაო მშენებლობისა და სოც.-კულტ.), სწარმოებს სასოფლო საბჭოების წმენდა უცხო ელემენტებისაგან და კოლექტიური მეურნეობებისა—კულაკებისაგან; ინიშნებიან სასოფლო საბჭოების ახალი თავჯდომარენი და სხვ.

აღნიშნავს-რა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ძველი შედგენილობის ფორმალურ-ბიუროკრატიულ მოპყრობას ამ საქმისადმი და არასაკმარისად სწრაფ ტემპებს საბჭოების მუშაობის გარდაქმნისას სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დირექტივების საფუძველზე—ამ ჟამად,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ქურდამირის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, მისი თავმჯდომარის ამხ. ქერიმოვის პირადი პასუხისმგებლობით:

ა) შექმნას უმოკლეს ვადაზე ძირითადი გარდატეხა რაიონის საბჭოების მუშაობის გარდაქმნის საქმეში სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ საბჭოების ორგმასსური მუშაობის გაძლიერების თაობაზე გამოცემული დადგენილების საფუძველზე;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და სასოფლო საბჭოების მთელი მუშაობის საფუძვლად უახლოესი პერიოდის განმავლობაში დაამყაროს ზედმიწევნითი და თავისდროული აღსრულება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 9-ის დადგენილებისა „1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესახებ“, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. იანვრის 10-ის დადგენილებისა „საშემოდგომო თესვის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადებისა და ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანათა შესახებ“ და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 19-ის დადგენილებისა “1934 წელს მებამბეობის სფეროში საჭირო ღონისძიებათა შესახებ;“

გ) ჩაატაროს სასწრაფო ღონისძიებანი—კურსებისა, კონფერენციებისა და სხვა მისთ. მეშვეობით—სოფლის საბჭოთა-საადმინისტრაციო კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის რაიონში;

დ) მოაწოდოს ყოველთვე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ინფორმაცია ამა მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული დირექტივების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—გააძლიეროს ხელმძღვანელობის გაწევა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის და განამტკიცოს ისინი მომუშავეთა სათანადო კადრებით.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას განაგრძოს სისტემატური ხელმძღვანელობის გაწევა ქურდამირის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისათვის და გაუწიოს მას კონკრეტული დახმარება ამა დადგენილების აღსრულების საქმეში.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 იანვრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კრებიდუმისა.

32. ადიგენის რაიონში საბჭოების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მოხსენება ადიგენის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. მარტის 26 დადგენილების (ადიგენის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების გამო) შესრულების შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადასტურებს, რომ ადიგენის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების ნაწილობრივ რეალიზაციას მხოლოდ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, რაიონის ხელმძღვანელობის განახლების შემდეგ; ამასთანავე, დაწყებულია: სასოფლო საბჭოების გაწმენდა ჯცხო, დანაშაულებრივი და პასსიური ელემენტებისაგან, დანიშნულია უფრო ძლიერი თავმჯდომარეები სასოფლო საბჭოებისა, მიღებულია ღონისძიებანი საქმისწარმოების ნაციონალურ ენებზე გადატანისათვის, გამოყოფილია ათკომლეულები ინდივიდუალურ მეურნეთა შორის მუშაობისათვის და სხვა მისთ.

ამასთან ერთად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შესრულებული არ არის რაიონში მთლიანად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. მარტის 26-ის დადგენილება, განსაკუთრებით სასოფლო საბჭოების ორგმასსური მუშაობის გაშლისა, კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და სასოფლო საბჭოების მუშაობაში გეგმიანობის შეტანისა და სხვა მისთ. სფეროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვლის-რა ასეთ მოპყრობას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისადმი ადიგენის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მხრით ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენად,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—უზრუნველჰყოს უმოკლეს ვადაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წ. მარტის 26-ის დადგენილებაში აღნიშნული დირექტივების სრული განხორციელება, განსაკუთრებით საორგანიზაციო და სოციალურ-კულტურულ საკითხებზე, და დაავალოს ადიგენის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) გაშალოს საბჭოების ორგმასსური მუშაობა „საბჭოების ორგმასსური მუშაობის გაძლიერების შესახებ“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე;

ბ) უახლოეს პერიოდისათვის როგორც ადგენის რაიონის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, ისე სასოფლო საბჭოების მთელი მუშაობის საფუძვლად გახადოს საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით მომზადება და ჩატარება შემდეგი დადგენილებების საფუძველზე: სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 9-ის დადგენილებისა „1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმის შესახებ“ და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1934 წ. იანვრის 10-ის დადგენილებისა „საშემოდგომო თესვის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომზადების და ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანათა შესახებ“.

2. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონკრეტული დახმარების გაწევა ადიგენის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისათვის —ამა დადგენილების ზედმიწევნით და თავისდროულად შესრულების საქმეში.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. იანვრის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

33. 1933 წელს რძისა და ხორცის ჩაბარების შედეგებისა და 1934 წელს ამავე პროდუქტების ჩაბარების ჩატარების სფეროში საბჭოების ამოცანათა შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის (ამხ. ხანბუდაღოვი) მოხსენება 1933 წელს რძისა და ხორცის ჩაბარების შედეგების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ 1933 წელს სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულებასთან ერთად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში, ადგილი ჰქონდა წარსული წლის კამპანიაში აგრეთვე შემდეგ ნაკლოვანებებს:

ა) ახსნა-განმარტებითი მუშაობის არასაკმარისი გაშლა რძისა და ხორცის ჩაბარების გარშემო და არასაკმარისი ჩაბმა ამ საქმეში საბჭოების მასსური ორგანიზაციებისა (დეპუტათა ჯგუფები, სექციები, ათკომლეულები და სხვ.) და სასოფლო აქტივისა, რის გამოც ადგილ-ადგილ (აზ. სსრ-ში—მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქი და შამხორის რაიონი, სომხეთის სსრ-ში—ახალ-ახტის და ალავერდის რაიონები, და საქართველოს სსრ-ში—აჭარისტანის ასსრ და სტალინისის, თელავის და სხვა რაიონები) შემჩნეულია ვალდებულებათა არაწესიერად ჩაბარებისა, ადმინისტრირებისა და სხვა მისთ. ფაქტები, მუშაობის არასაკმარისად მომზადება და კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის ვალდებულებათა ჩაბარების კამპანიის დაგვიანებული გაშლა;

ბ) ცალკეული სასოფლო საბჭოების მიერ ღონისძიებათა მიუღებლობა სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა ბოროტეულ დამრღვევთა წინააღმდეგ (ჯარიმა, სასამართლოს წესით პასუხისგებაში მიცემა) და სხვა მისთ.

ამასთან ერთად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს 1934 წელს რძის ჩაბარების ვალდებულებათა მიწოდება აზერბაიჯანის სსრ-ასა და სომხეთის სსრ-ში, რომელთაც თვალსაჩინოდ დააგვიანეს კამპანიის გაშლა, და რომ, აგრეთვე, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა მიწოდება აზერბაიჯანის სსრ-ში.

სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის ჩაბარების კამპანიის თავის დროზე და წარმატებით ჩატარების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს:

1. დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს მათი თავმჯდომარეების პასუხისმგებლობით:

ა) უზრუნველჰყონ, სხვა, უაღრესი მნიშვნელობის მქონე, სასოფლო-სამეურნეო კამპანიებთან ერთად (პური, ბამბა და სხვ.), სისტემატური მასსურ-განმარტებითი მუშაობის გაშლა სახელმწიფოსათვის რძის და ხორცის ჩაბარების გარშემო, სოფლის აქტივის ფართოდ ჩაბმით და სასოფლო საბჭოების სათანადო სექციებისა და კოლექტიური მეურნეობების დეპუტათთა ჯგუფების მუშაობის გაძლიერებით;

ბ) ჩაატარონ ვალდებულებათა ჩაბარებისა და ამ ვალდებულებათა 1934 წლის I-ლ კვარტალში შესრულების შემოწმების ერთიანი საბჭოთა დღე, რისთვისაც უნდა გაშალონ ფართო ახსნა- განმარტება რძისა და ხორცის ჩაბარების მნიშვნელობის შესახებ, როგორც მეცხოველეობის განვითარების და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების სტიმულისა, ისე თვისებრივ მაჩვენებელთა შესახებ (რძის მოუხდელობა, საქონლის სიმსუქნე);

გ) მოაგვარონ კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების თავისდროული და ზედმიწევნითი აღრიცხვა და შეუფარდონ იმ ჩამბარებლებს, რომელნიც არ ასრულებენ დადგენილ ვადაზე თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის ჩაბარებისას, კანონით გათვალისწინებული ზედმოქმედების ღონისძიებანი.

2. დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და დამმზადებელ ორგანიზაციებს—გაუწიონ სასოფლო საბჭოებს ყოველდღიური სისტემატური დახმარება მასსური მუშაობის გაშლის საქმეში სახელმწიფოებრივ დამზადებათა წარმატებით ჩატარებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. თებერვლის 7.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

34. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 46 მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

„შავი მეტალურგიის შინასაქარხნო სარკინისგზო ტრანსპორტზე სსრკ-ის სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინის წესდების გავრცელების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 17-ის დადგენილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 46 მუხლის შენიშვნა შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** 46 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება სარკისისგზო ტრანსპორტისა და შავი მეტალურგიის შინასაქარხნო სარკინისგზო ტრანსპორტის მომუშავეებზე, რომელთა სამსახურში მიღება და დათხოვნა რეგულირდება სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინის წესდებით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ამირეკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. თებერვლის 7.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

35. ა/კსფსრ-ში საგზაო (ურელსო) მშენებლობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ საამართველოების მოხსენებანი 1933 წელს ა/კსფსრ-ში საგზაო (ურელსო) მშენებლობის შედეგებისა და საგზაო მშენებლობის ხაზით საბჭოების მუშაობის შესახებ,—

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თუმცა 1933 წლის საგზაო მშენებლობის გეგმების აღსრულების რიცხობრივი მაჩვენებლები საქართველოსა და სომხეთში შედარებით დამაკმაყოფილებელია, მაინც საგზაო მშენებლობის ტემპები და მოცულობა თვალსაჩინოდ ჩამორჩება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის სხვა მშენებლობას.

გზების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე გზებისა (აზერბაიჯანის სსრ), ცუდ მდგომარეობაშია და ამ გზებს მუდმივი ზედამხედველობა არ ეწევა.

საქალაქო საბჭოები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და სასოფლო საბჭოები სათანადო დახმარებას არ უწევენ რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს და არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას საგზაო მშენებლობის საქმეს თავიანთ ტერიტორიაზე. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში გამოყენებულია არასავსებით (აზერბაიჯანის სსრ) და არასაკმარისი ეფექტიობით. ავტოტრანსპორტის ექსპლოატაცია ხორციელდება აშკარა უთადარიგობით; ამასთანავე, მანქანების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება მასსურ ხასიათს იღებს.

რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო სამმართველოებმა ვერ გარდაქნეს თავიანთი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპების შესაბამისად. თვალსაჩინოდ ჩამორჩენილია წარმოებული საგზაო-სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ხარისხი. ჯერ კიდევ გრძელდება საგზაო მშენებლობის დაფინანსებისა და გაწყობილობით, მექანიკური ჭურვით, საშენი მასალით, ტექნიკური კადრებით და სხვა მისთ. მომარაგების მოუგვარებლობა

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მიაჩნია რომ ბრძოლა საგზაო საქმის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის მორიგ ამოცანთაგანია, რომელიც დგას საბჭოების წინაშე მე-2 ხუთწლედში; ამიტომ ახალი გზების მშენებლობისა და გზების წესიერი შენახვის საქმე რაიონისა და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე უნდა გადაიქცეს თვითეული რაიონის და სასოფლო საბჭოს პირადი ღირსების საქმედ, და ა კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკები, სსრკ-ის მოწინავე რესპუბლიკების მიბაძვით, უნდა გახდნენ მე-2 ხუთწლედში სამაგალითო გზების მქონე **რესპუბლიკებად.**

ზემოაღნიშნულის მიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დააჩქარონ ჩუვაშიის ავტ. სსრ-ის გამოწვევით და ინიციატივით განსახორციელებელი, ცამეტი რესპუბლიკის და ოლქის შეჯიბრება უგზოობის ლიკვიდაციისათვის საბჭოთა ქვეყანაში, რისთვისაც:

ა) ფართოდ უნდა გაშალონ რესპუბლიკაში საბჭოების მასსური ახსნა-განარტებითი მუშაობა—რაიონისა, სოფლისა, კოლექტიური მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე საგზაო მშენებლობისა და გზების წესიერად შენახვის კონკრეტული ამოცანების გარშემო;

ბ) უნდა უზრუნველჰყონ ჩუვაშიის ავტ. რესპუბლიკის მიმართვისა და ცამეტი რესპუბლიკის და ოლქის სოციალისტური ხელშეკრულების მასსური განბჭობა კოლმეურნეებისა, ინდივიდუალურ მეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და ცალკეულ საწარმოთა მუშების ფართო კრებებზე, აგრეთვე საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებზე, სასოფლო საბჭოებში, საბჭოთა სექციებსა და დეპუტატთა ჯგუფებში; თანაც უნდა განიხილონ 1934 წლის საგზაო მშენებლობის გეგმები და მიიღონ, სოციალისტური ხელშეკრულების მიხედვით, კონკრეტული ვალდებულებანი;

გ) უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი უგზოობასთან ბრძოლაში ყველა—უკლებლივ—საბჭოთა, საზოგადოებრივი, სანებაყოფლო, სამეურნეო, კოპერატიული და სხვა ორგანიზაციისა (ცენტრალური და სარაიონო) და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასსების ჩაბმისათვის;

დ) დაუკონებლივ უნდა შეუდგნენ სარაიონთაშორისო და სასოფლო გზებისა და მისავალი გზების ცალკეული უბნების საბჭოებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, ქარხნებზე და სხვა მისთ. მიმაგრებას—ისეთი ვარაუდით რომ ეს მუშაობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 1-სა; ამავე დროს უზრუნველჰყონ შეჯიბრების გაშლა მათ შორის მიმაგრებული გზების უკეთესად მოვლა-პატრონობაზე და გამოჰყონ სპეციალური ფონდები მათ დასპრემიებლად ამ საქმის უკეთესად დაყენებისათვის;

ე) უნდა უზრუნველჰყონ რესპუბლიკების გზატკეცილების, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამამართველოებისა, „ავტოგზებისა“, აქტივისა და პრესსის მონაწილეობა რადიომოწოდებაში საერთო-საკავშირო შეჯიბრებისათვის და უგზოობის ლიკვიდაციისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებსა და სახალხო კომისართა საბჭოებს—ჩაატარონ რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების მუშაობის გარდაქმნა და, ამასთანავე, უზრუნველჰყონ:

ა) სარაიონო საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოების საუბნო სარემონტო საგზაო ორგანოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო განყოფილებების განმტკიცება საინჟენერო-სატექნიკო კადრებით; ამასთანავე, უნდა გადაისინჯოს საგზაო ორგანიზაციების მთელი ხელმძღვანელი შედგენილობა;

ბ) საგზაო უბნებისათვის საგზაო გაწყობილობისა და მექანიკური ჭურვის მიწოდება საჭირო რაოდენობით;

გ) 1934 წლის საგზაო მშენებლობისა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმების მიწვდევინება რაიონებამდე, სოფლებამდე და კოლექტიურ მეურნეობებამდე არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 15 სა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ავტოტრანსპორტის წესიერი ექსპლოატაციისათვის კონტროლის გაძლიერებისა, ავტომანქანების მძღვანებელთა შედგენილობის გადასინჯვისა, მათი კვალიფიკაციის და იდეიურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებათა მიღება; ამასთანავე, უნდა დაავალონ იუსტიციის სახალხო კომისარიატებს—მისცენ დირექტივები სასამართლო ორგანოებს, რომ საჭიროა გადიდებულ იქნეს, კანონით დადგენილი ნორმების ფარგლებში, სანქციები ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევისა და ავტომანქანების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის, ხოლო საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებს—გააძლიერონ ზედამხედველობა აღნიშნული საქმეებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მოაწყონ საგზაო განყოფილებები სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საგზა-სატრანსპორტო სექციები ყველა სასოფლო საბჭოსთან; თანაც შეიმუშაონ და მიაწოდონ ქვედა ორგანოებს დებულება საბჭოების საგზაო-სატრანსპორტო სექციების შესახებ.

4. საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის უფრო რაციონალურად და ორგანიზებულად გამოყენების მიზნით—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს:

ა) დააკისრონ პერსონალური პასუხისმგებლობა საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ორგანიზებულად და სრულად ჩატარებისათვის რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების უფროსებს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს;

ბ) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გასცენ დირექტივები კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში საგზაო მშენებლობის ბრიგადირების გამოყოფისა, ბრიგადების მოწყობისა და სამუშაოების ცალკეულ უბნებზე მიმაგრებისა, ადგილობრივი საშენი მასალის და ინსტრუმენტების დამზადების და სხვა მისთ. შესახებ;

გ) აუკრძალონ კატეგორიულად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ნაცვლად შემოსული თანხების არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენება და მკაცრ პასუხისგებაში აძლიონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ის თავმჯდომარენი, რომელნიც დაარღვევენ ამ წესს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) შეიტანოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოში დასაბუთებული შუამდგომლობა საჭირო მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების (როგორიც არის: სატკეპნი მანქანა, საწევი მანქანა, ტრაქტორი, სატვირთო მანქანა და სხვა მისთ.) შემოზიდვის გაძლიერებისა და რესპუბლიკების გზატკეცილების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებისათვის მიწოდების შესახებ;

ბ) შეიტანოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოში დასაბუთებული შუამდგომლობა ა/კსფსრ-ის საბამბე რაიონების გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის დამატებითი ასიგნების გადადების შესახებ;

გ) უზრუნველჰყოს საგზაო მშენებლობის დაუცადებელი დაფინანსება დამტკიცებული გეგმების შესაბამისად;

დ) განიხილოს — ადგილობრივი ბიუჯეტით გზათამშენებლობისათვის გადადებულ სახსართა ცენტრალიზაციის საკითხი;

ე) განიხილოს საგზაო მშენებლობაზე მოსაქმე მუშებისა და საინჟენერო-სატექნიკო მომუშავეების—მომარაგების მხრით—მრეწველობის მუშებთან გათანაბრეების საკითხი, მათ რჩენაზე მყოფ პირთა აგრეთვე მომარაგებაზე აყვანით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ მომიტეტებსა და სახალხო კომისართა საბჭოებს—განახორციელონ მიმდინარე წელს სისტემატური პრაქტიკა, რათა სახალხო კომისარიატებისა, სამეურნეო ორგანოებისა, საკურორტო სამმართველოებისა და ქალაქების სახსარი ფართოდ იქნეს გამოყენებული გზათა ქსელის მშენებლობისა და რემონტისათვის, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების რაიონებში (ბამბა, ჩაი, ციტრუსები და სხვა მისთ.)

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—შემოიტანონ ა/წ. ივლისში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში მოხსენება გზათა (ურელსო) მშენებლობის და რემონტის მსვლელობისა და ამა დადგენილების აღსრულების შედეგების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. მარტიკიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1934 წ. ოქტომბერის 7.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

36. მარცვლეულის დაფქვის შეზღუდვის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის ნებადართვის გამო უნდა გაუქმდეს მარცვლის დაფქვის ყოველგვარი შეზღუდვა, სხვათა შორის ხარისხოვან ფქვილად გადაფქვის შეზღუდვაც.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ფართოდ აუწყონ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეებს მარცვლის დაფქვის შეზღუდვათა გაუქმება.

2. მიიქცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების ყურადღება იმაზე, რომ, პურეულის გამოყენების დამტკიცებული გეგმის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, სამინდე გამოსაღების მომქმედი გეგმა აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნეს მთლად და სავსებით.

3. წინადადება მიეცეს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—პურის გაცემა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საერთო მომარაგებისათვის აწარმოოს იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალი იქნება სამინდე გამოსაღებისა თვითეულ რესპუბლიკაში, და შეამციროს სათანადოდ ცენტრალიზებული რესურსების გაცემა საერთო მომარაგებისათვის სამინდე გეგმის შეუსრულებელი ნაწილის რაოდენობით.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სარაიონო ორგანიზაციებს გააძლიერონ ბრძოლა მარცვლის ფარულად დაფქვასთან, სამინდე გამოსაღების გატაცებასა და საგლეხო წისქვილებში ჩარჩენასთან და იხმარონ მკვეთრი ღონისძიებანი სამინდე გამოსაღების სრულად დაცვისა და "ზაგოტზერნოს" ორგანოებისათვის თავის დროზე ჩაბარების უზრუნველყოფის მიზნით.

5. დაევალოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთ ა/კსფსრ-ში და მის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—ახდევინონ სამინდე გამოსაღები მთლად იმ მარცვლეულზე, რასაც დასაფრქველად მიიტანენ საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი, კოლმეურნენი და ინდივიდუალური მეურნეობანი, იმისდამოუხედავად, თუ რა წყაროდან არის მიღებული ეს მარცვლეული.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. იანკრის 23.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

37. ა/კსფსრ-ში ტყავ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 17-ის თარიღისა და 81/2485 №-ის დადგენილების შესაბამისად, რომელი დადგენილებითაც შეცვლილია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილება „სამონადირო კოოპერაციის ლიკვიდაციის და ინტეგრალური კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 67 №-ი, მუხ. 404)—შენარჩუნებულ იქნეს ა/კსფსრ-ში სამონადირო კოოპერაცია.

2. რადგანაც ა/კსფსრ-ში ტყავ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადების მასშტაბი შეზღუდულია, ეს დამზადება სავსებითი მოცულია სამონადირო და სამომხმარებლო კოოპერაციის ფართოდ განტოტებული სადამზადებლო აპარატის მიერ და „სოიუზპუშნინას“ ამიერკავკასიის კონტორის დამოუკიდებელი სადამზადებლო ოპერაციები არარენტაბელურია, აგრეთვე იმ მიზნით, რათა სადამზადებლო მუშაობაში აღმოფხვრილ იქნეს პარალელიზმი:

ა) დაეკისროს სამონადირო და სამომხმარებლო კოოპერაციას ტყავ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადების ჩატარება ა/კსფსრ-ში „სოიუზპუშნინას“ კონტრაგენტების სახით;

ბ) დაევალოს „სოიუზპუშნინას“ ამიერკავკასიის კონტორას—გადასცეს ხოლმე სამონადირო და სამომხმარებლო კოოპერაციას „სოიუზპუშნინას“ მიერ, დამზადებათა სტიმულირების მიზნით, მოწოდებული სამრეწველო საქონელი და სანადირო სასროლო მასალა.

3. ჩაითვალოს მიზანშეუწონლად „სოიუზპუშნინას“ მიშვება ა/კსფსრ-ში ტყავ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადებაზე და მიენდოს ამიერკავკასიის წარმოშადგენლობას — შეიტანოს სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოში სათანადო წარდგენილება.

4. დაევალოს სამონადირო კოოპერაციას — ჩააბას სანადირო რეწაობისა ტყავ-ბეწვეულის დამზადების საქმეში საკოლმეურნეო სისტემა, რისთვისაც მოაწყოს კოლმეურნე-მონადირეთაგან ბრიგადები.

5. დაევალოს სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან და „სოიუზპუშნინას“ ამიერკავკასიის კონტორას:

ა) უზრუნველჰყონ, რათა სამონადირო და სამომხმარებლო კოოპერაციამ შეასრულოს ტყავ-ბეწველის ნედლეულის დამზადების გეგმა;

ბ) დაამყარონ კონტროლი, მეთვალყურეობა და ინსტრუქტაჟი სამონადირო და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობისათვის (დაწესებული სადამზადებლო ფასებისა, წესებისა და სტიმულირების ნორმების დაცვა, ბრძოლა ტყავ-ბეწვეულის ნედლეულის თვისებისათვის და სხვა მისთ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეიმუშაონ ყველა იმ საკითხის ტექნიკა, რაც აღიძვრის „სოიუზპუშნინას“ ამიერკავკასიის კონტორის დამზადებაზე მიუშვებლობასთან დაკავშირებით, როგორიც არის: დამზადების გეგმებისა, სამრეწველო საქონლის და სასროლი მასალის განაწილება, აკკრედიტივების გაცემა „სოიუზპუშნინაში“ და სხვა მისთ.

6. მიენდოს სსრკ ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას — შეინახოს კრედიტები, რაც მოდის ტყავ-ბეწვეულის დამზადებისათვის „სოიუზპუშნინას“ ამიერკავკასიის კონტორის სახელზე და გადასცეს ხოლმე ეს კრედიტები სამონადირო კოოპერაციის რესპუბლიკანურ კავშირებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. იანვრის 28.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

38. 1934 წელს ა/კსფსრ ქალაქებში და სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის დადგენილი გამოსაღების შესახებ.

„1934 წელს ქალაქებში და სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღების დაწესების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 23-ის დადგენილების 7, 10, 11, 9, 31 და 34 მუხლების თანახმად — ა/კსფსრ სახალაო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განსაზღვრულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის გამოსაღების შემდეგი საშუალო განაკვეთები (მუხ. 29 და 31):

ა) კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, იმათ გარდა, რომელნიც მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულ არიან გამოსაღებისაგან სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 23-ის დადგენილების მე-9 მუხლის წესისამებრ . . . 35 მან.

ბ) ინდივიდუალურ მშრომელ მეუნეთა მეურნეობებისათვის, რომელთაც შეწერილი ჰქონდათ 1933 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მტკიცე განაკვეთებით . . . 35 მან.

გ) ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეთა მეურნეობებისათვის, რომელთაც შეწერილი ჰქონდათ 1933 წელს

სასოფლო სამეურნეო გადასახადი პროგრესიული განაკ-
ვეთებით . . . . . 130%-ი 1933 წლის
სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, ხოლო
არა ნაკლებ იმ განაკვეთისა, რა უწყებულს
ადგილას დადგენილია ამა მუხლის „ბ“ ლი-
ტერაში აღნიშნული მეურნეობებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქებისათვის და რაიონებისათვის განაკვეთების განსაზღვრისას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა იქონიონ მხედველობაში, რომ გამოსაღების ის საერთო თანხა ამა მუხლში ჩამოთვლილ მეურნეობათა ცალკე კატეგორიისათვის, რაც განსაზღვრულია საშუალო განაკვეთების მიხედვით, უნდა დარჩეს უცვლელად.

2. უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) გაანთავისუფლონ ხოლმე გამოსაღებით დაბეგვრისაგან შენობათა შემოსავალზე ის მუშებიც და მოსამსახურეებიც, რომელთა შემოსავალიც, შენობის გაქირავებით მიღებული, აღემატება საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავ მინიმუმს (მუხ. 7);

ბ) გაანთავისუფლონ ხოლმე მთლად გამოსაღებით დაბეგვრისაგან ცალკეული სოფლების მოსახლეობა;

გ) შესცვალონ ხოლმე ცალკეული ადგილებისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 23-ის დადგენილების 34 მუხლით კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეთა მეურნეობების მიერ გამოსაღების გადახდისათვის დაწესებული ვადები.

3. მთლად შემოსული კულტგამოსაღების 100 პროცენტი ჩაირიცხება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამასთანავე, სოფლად შემოსული კულტგამოსაღები მთლად გადაიცემა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. იანვრის 29.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკას“ 29 №-ში 1934 წ. თებერვლის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

39. „1934 წელს ა/კსფსრ ქალაქებში და სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის დადგენილი გამოსაღების თაობაზე“ გაშოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 29-ის დადგენილების დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დაერთვას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შესცვალონ ხოლმე, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 29-ის დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრული საშუალო განაკვეთები.

ამასთანავე, საშუალო რესპუბლიკანური განაკვეთი კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 34 მანეთს, ხოლო იმ ინდივიდუალურ მეურნეთა მეურნეობებისათვის, რომელნიც 1933 წელს დაბეგრილ იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მტკიცე განაკვეთების კვალობაზე,—39 მანეთს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. თებერვლის 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 32 №-ში 1934 წ. თებერვლის 5-ს

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

40. 1934 წელს რამის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს 1934 წლის გაზაფხულზე ნარგავი რამის კონტრაქტაციის გეგმა 300 ჰექტ. რაოდენობით.

2. მთლად დასაკონტაქტებული ნათესი განაწილდეს საქართველოს სსრ-ში საკოლმეურნეო სექტორზე.

3. რამის ნათესების კონტრაქტაციის ვადა განისაზღვროს 10 წლით; ამასთანავე კოლექტიური მეურნეობანი ჩააბარებენ საქართველოს რამის" ტრესტს რამიხ მთელ მოსავალს დაკონტრაქტებული ფართობისას კონტრაქტაციის მთელი ვადის განმავლობაში.

რამის მწვანე ღეროების ჩაბარების ნორმა ორ მოკრეფაზე (1-ლი—ივნისში, მე-2 სექტემბერში) განისაზღვროს ერთ ჰექტარზე შემდეგი რაოდენობით:

1935 წლისთვის არა ნაკლებ . . . . . 5 ტონნისა;
1936 „ „ . . . . . 10 „
1937 და შემდგომი წლებისთვის არა ნაკლებ 20 „

4. რამის ნითესების კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს „საქართველოს რამის" ტრესტს.

5. რამის კონტრაქტაციის ჩატარების ვადა განისაზღვროს 1934 წლის თებერვლის 5-დან მარტის 5-მდე.

6. რამის კონტრაქტაციის ავანსირების რაოდენობა განისაზღვროს 300 მანეთით 1934 წლის გაზაფხულის ნარგავიან თვითეულ დაკონტრაქტებულ ჰექტარზე; აქედან 100 მან.—ღობის შემოსავლებად წახდენისაგან დაცვისათვის, ხოლო 200 მან.—პლანტაციის განმზადებისა, ჩაყრისა და მოსლისათვის.

ავანსები გაიცეს შემდეგ ვადაზე:

ა) 50 მან.—ნაკვეთის განმზადებისათვის (დაგეგმვა, მოხვნა) და 50 მან.—ღობისთვის—მარტში;

ბ) 50 მან.—პლანტაციაზე ნარგავების ჩაყრის შემდეგ და 50 მან.—ღობის დამთავრების შემდეგ—აპრილ-მაისში;

გ) 50 მან.—პირველი მარგვლის ჩატარების შემდეგ—ივნისში;

დ) 50 მან.—მესამე მარგვლის ჩატარებისა და პლანტაციის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ—სექტემბერში.

7. 1934 წლის რამის ნარგავთა კონტრაქტაციის კრედიტის საერთო რაოდენობა განისაზღვროს 90 ათასი მანეთით; ამასთანავე, 1934 წ. პირველ კვარტალში გაღებული იქნეს 30 ათასი მან., მეორე კვარტალში—45 ათასი მან. და მესამე კვარტალში—15 ათასი მან.

რამის კონტრაქტაციის ავანსირება განხორციელებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობების გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდიდან.

8. 1934 წელს გაცემული ავანსები დაიფაროს, დაწყებული დარგვის მესამე წლიდან, შემდეგ ვადაზე;

1936 წელს 5%
1937 წელს 25%
1938 წელს 35%
1939 წელს 35%

9. შემოღებულ იქნეს პურის მიცემა (მიყიდვა) რამის მთესველთათვის 1934 წელს 10 ცენტნერის ანგარიშით ერთ ჰექტარზე, შემდეგ ვადაზე გაცემით:

ა) 2 ცენტნერი—საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ (თებერვალში);

ბ) 2 ცენტნერი—რამის ფაქტიური დარგვის შემოწმების შემდეგ (აპრილ-მაისში);

გ) 2 ცენტნერი—პირველი მარგვლის ჩატარების შემდეგ (ივნისში);

დ) 2 ცენტნერი—მეორე მარგვლის ჩატარების შემდეგ (ივლისში);

ე) 2 ცენტნერი—მესამე მარგვლის ჩატარების და პლანტაციის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ (სექტემბერში).

10. 1934 წელს რამის ნარგავთა კონტრაქტაციისათვის გასაცემი პურის კონტინგენტი განისაზღვროს 300 ტონნას რაოდენობით და გაცემულ იქნეს:

პირველ კვარტალში	60 ტონნა.
მეორე კვარტალში	120 „
მესამე კვარტალში	120 „

11. შემდგომ წლებში რამის მთესველთათვის პურის მიცემა დაწესებულ იქნეს ჩაბარებული პროდუქციის ანგარიშის მიხედვით:

1935 წელს—2 ცენტნერი ჩაბარებული პროდუქციის ერთ ტონაზე;

1936 წელს—1 ცენტნერი „ „ „ „

1937 და შემდგომ წლებში—$^1/_2$ ცენტნერი ჩაბარებული პროდუქციის ერთ ტონნაზე.

ამ წლებში პური გაცემულ იქნეს შემდეგი ანგარიშის მიხედვით; ხვედრი ნორმის 20%—პირველ კვარტალში—პლანტაციის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ; 20%—პირველი მარგვლის შემდეგ (მაისში); 20%—პირველი ნათიბი პროდუქციის ჩაბარების შემდეგ: 40%—მთელი ჩასაბარებელი ნორმის პროდუქციის ჩაბარების შემდეგ.

12. დაევალოს „საქართველოს რამის“ ტრესტს—უზრუნველჰყოს თავის დროზე უფასოდ კეთილთვისებიანი სარგავი მასალის გაცემა.

13. წინა წლებში ჩაყრილი რამის პლანტაციების დაცვის უზრუნველყოფისა (126 ჰექტარი 1932 წ. და 241 ჰექტ. 1933 წ.), მოსავლიანობის გადიდებისა და შეთხელებული პლანტაციების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით—წინადადება მიეცეს „საქართველოს რამის“ ტრესტს დაავალოს რამის მთესველთ შემოავლონ ღობე ყველა პლანტაციას, შეიტანონ მინერალური სასუქი აგროწესებში გათვალისწინებულ ვადაზე და დოზით და გაუკეთონ რემონტი მეტად შეთხელებულ პლანტაციებს.

14. დაწესებულ იქნეს რამის მთესველების დამატებით ავანსირება ამა დადგენილების მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის კოლექტიური მეურნეობების გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდიდან, შემდეგი ანგარიშის მიხედვით:

ა) 100 მან. ჰექტარზე—ღობის შემოვლებისათვის—შემდეგ ვადაზე მიცემით: 50 მან.— თებერვალში და 50 მან.—მარტში (ღობის დამთავრების შემდეგ);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 100 მან. ჰექტარზე—მინერალური სასუქისათვის—პირველ კვარტალში გაცემით მინერალური სასუქის ფაქტიურად შეტანის კვალობაზე—კოლექტიური მეურნეობებისათვის;

გ) 100 მან. ჰექტარზე—მეტად შეთხელებული პლანტაციების რემონტისათვის—შემდეგ ვადაზე გაცემით; 50 მან.—ნაკვეთისა და სარგავი მასალის განმზადების შემდეგ (აპრილშია); 50 მან.—რემონტის ჩატარებისა და ახალი ჯეჯილის ამოსვლის შემდეგ.

15. წინა წლებში ჩაყრილ პლანტაციებზე (1932-1933 წ.) გასაცემი დამატებითი ავანსების საერთო რაოდენობა განისაზღვროს შემდეგ თანხით:

ლობისათვის	36.700 მან.
მინერალური სასუქისთვის . . .	36.700 მან.
პლანტაციების რემონტისათვის .	5.000 მან.
ს უ ლ	78.400 მან.

შემდეგ ვადებში გაცემით:

1-ლ კვარტალში: ლობისთვის . .	18.350 მან.
მინერალური სასუქ.	36.700 მან.
ს უ ლ	55.050 მან.
მნ 2 კვარტალში: ტობისთვის . .	18.350 მან.
რემონტისათვის	5.000 „
ს უ ლ	23.350 მან.

16. მე-14 და 15 მუხლებში აღნიშნულ ავანსები დაიფაროს: 1935 წელს—50% და 1936 წელს—50%.

17. წინა წლების პლანტაციების (1932-1933 წ.) რამის ჩაბარების ნორმა განისაზღვროს საშუალოდ არა ნაკლებ 5 ტონნისა ჰექტარზე.

წინადადება მიეცეს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ სკს-თან, „საქართველოს რამის“ ტრესტთან ერთად, დაადიფერენციროს ჩაბარების ნორმა თვითეული პლანტაციის მდგომარეობის შესაბამისად.

18 წინა წლების (1932-1933 წ.) პლანტაციებისათვის 1934 წელს გასაცემი პურის კონტინგენტი განისაზღვროს 367 ტონნად, შემდეგ ვადაზე გაცემით:

პირველ კვარტალში	20%
მეორე „	40%
მესამე „	40%

19. 1934 წელს რამის მთესველთა ფულადი ავანსირების საერთო რაოდენობა ყველა პლანტაციისათვის განისაზღვროს 168.400 მანეთით.

20. სოციალისტური მიწათმოქმედების დაფინანსების ბანკის ამიერკავკასიის კონტორამ უნდა უზრუველჰყოს ფულადი ავანსების თავისდროულად გაცემა ამა დადგენილებაში აღნიშნულ ვადაზე.

21. 1934 წელს ყველა პლანტაციისათვის გასაცემი პურის საერთო კონტინგენტი განისაზღვროს 667 ტონას რაოდენობით.

22. „ზაგოტზერნოს“ ამიერკავკასიის კონტორამ უნდა უზრუნველჰყოს რამის მთესველთათვის მისაცემად დანიშნული პურის თავის დროზე შემოზიდვა.

23. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფონდების კომიტეტის რწმუნებულმა ა/კსფსრ სკს-თან და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყონ 1934 წელს დაგეგმილი სამრეწველო საქონლის მიზნობრივი შეზიდვა რამის ნარგავების რაიონებში 66.000 მან. თანხისა—შემდეგ ვადაზე შემოზიდვით:

პირველ კვარტალში	. . . . .	20%
მეორე „	. . . . .	40%
მესამე „	. . . . .	40%

24. აგრომომსახურეობის გაწევა და აგროღონისძიებათა განხორციელება რამის დარგვისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქაქო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, დაეკისროს საქართველოს ტრაქტორცენტრს, „საქართველოს რამის“ ტრესტთან ხელშეკრულების დადებით, ხოლო დანარჩენ კოლექტიურ მეურნეობებში—„საქართველოს რამის“ ტრესტს.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყონ საჭირო სახსართა გამოყოფა და საქართველოს ტრაქტორცენტრისა და „საქართველოს რამის“ ტრესტისათვის მიცემა თვითეულ რაიონში რამის კულტურის სპეციალიზირებული აგრომომსახურეობისა და აგროღონისძიებათა ჩასატარებლად.

25. დაევალოს „საქართველოს რამის“ ტრესტს—იყოლიოს თავის ცენტრალურ აპარატში ერთი აგრონომი—რამის სპეციალისტი და ერთი მიმომსვლელი აგრონომი—ინსპეტორი რამის საქმის მუდმივი ინსრუქტირებისა და ინსპექტირებისათვის როგორც იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, ისე იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას „საქართველოს რამის“ ტრესტი უწევს.

26. რამის ნათესების საუკეთესო სპეციალიზირებული აგრომომსახურებისა და რამის პრდუქციის დამზადებათა სრული მოცვისათვის სათანადო ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით— საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მოეწყოს „საქართველოს რამის“ სარაიონო ან სარაიონთაშორისო კონტორები.

დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებმა ა/კსფსრ სკს-თან და საქართველოს სსრ სკს-თან და „საქართველოს რამის“ ტრესტმა უნდა შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე ამ კონტორების შტატი და ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინონ დასამტკიცებლად ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო შენაერთის გამგეობას.

27. დაევალოს „საქართველოს რამის“ ტრესტს—ჩაატაროს ერთი თვის ვადაზე რამის ყველა პლანტაციის პასპორტიზაცია.

28. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—იხმარონ ღონისძიებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკონტრაქტებული რამის თავის დროზე ჩაყრისა, მოვლისა, მოსავლის აღებისა და ჩაბარების უზრუნველსაყოფად.

29. წინადადება მიეცეს „საქართველოს რამის“ ტრესტს—წარუდგინოს ხოლმე დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთ ა/კსფსრ სკს-თან და საქართველოს სსრ სკს-თან სადეკადო ცნობები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. თებერვლის 4
ტფილისი

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

41. ა/კსფსრ საძოვართა გამოყენების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღინიშნოს, რომ,—საძოვრების არაგეგმიანად განაწილებისა, საძოვრების მოსარგებლეთა მიერ (კოლექტიური მეურნეობები, კოლმეურნეები, ინდივიდუალური მეურნეები და ცალკეული სამეურნეო ორგანიზაციები) საძოვრების გაუმჯობებებისა და სათანადო მოვლისათვის ღონისძიებათა მიუღებლობისა, საადგილმამულო ორგანოების მხრით ამ მუშაობისათვის სათანადო ხელმძღვანელობის გაუწევლობისა და აგრეთვე მოსარგებლეთათვის მიჩენილი სასაძოვრო ნაკვეთების დაუზოგველად გამოყენების გამო,—ა/კსფსრ სასაძოვრო მეურნეობა მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ყოველწლივ საძოვრების გარდანაწილების საბოლოო ლიკვიდაციისა, ა/კსფსრ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების გამოყენებაში გაუპიროვნების აღმოფხვრისა, საძოვრების ექსპლოატაციის მტკიცე წესის დამტკიცებისა და საძოვრების წესიერი გამოყენების და მოვლისათვის მოსარგებლეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მაზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რეპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიამაგრონ ცალკეული სასაძოვრო ნაკვეთები საბჭოთა მეურნეობებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე, სასოფლო საბჭოებზე (ინდივიდულური მშრომელი მეურნეობების საქონლისათვის) და ცალკეულ სამეურნეო ორგანიზაციებზე ვადით 1937 წლის ბოლომდე.

2. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ნუსხა სომხეთის სსრ საზაფხულო საძოვრებისა (იხ. დანართი) და წინადადება მიეცეს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიამაგროს, ამ ნუსხის თანახმად, სომხეთის საზაფხულო საძოვრებზე აზერბაიჯანის სსრ-დან აღმავალ საქონელს—138.998 ჰექტარი და საქართველოს სსრ-დან აღმავალ საქონელს 25.000 ჰექტარი ვადით 1937 წლის ბოლომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—ჩაატარონ გენერალური ხელშეკრულების დადება და სასაძოვრო ნაკვეთების მიჩენა და მიმაგრება არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 15-სა, ხოლო საძოვრების ნატურად მიღება დაამთავრონ 1934 წ. მაისის ბოლომდე, მოსარგებლეებთან ლოკალური ხელშეკრულების შედგენით და სათანადო სარაიონო აღმასულებელი კომიტეტებისათვის წარდგენით იმ რაიონებში, სადაც საძოვრები მდებარეობს.

4. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწითმოქმედების სახალხო კომისარიატებს— დაამთავრონ მე-2 მუხლში აღნიშნულ საძოვართა წინასწარი განაწილება კოლექტიურ მეურნეობებსა, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებსა და სასოფლო საბჭოებს შორის მაისის 1-მდე, ხოლო ამ საძოვრების მათზე საბოლოო მიმაგრება—საქონლის საძავრებზე ასვლამდე, მაგრამ არა უგვიანეს ვიდრე 1934 წლის მაისის ბოლომდე.

5. დაწესებულ იქნეს, რომ საძოვრების გამოყოფა უნდა მოხდეს ისეთი ვარაუდით, რათა საზაფხულო საძოვრებზე აზერბაიჯანის სსრ-დან და საქართველოს სსრ-დან აღმავალი საქონელი უზრუნველყოფელი იყოს გარდამავალი საძოვრებით, მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით.

6. წინადადება მიეცეს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ისათვის მისაჩენი საძოვრები საქონლის გადასარეკი გზებით, გასაჩერებელი და წყალსასმევი ადგილებით თვითეულ 20—25 კილომეტრზე.

7. მოსარგებლეთა მიერ მათთვის მიჩენილი საძოვრების საიჯარო სასყიდლის შეტანის ვადა განისაზღვროს ყოველი წლის მე-III კვარტალის დასაწყისით.

8. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) დაამყარონ საძოვრების მიმაგრების და გამოყენების ამგვარივე წესი თვითეული რესპუბლიკის შიგნით;

ბ) ცალკეულ მოსარგებლეთათვის (კოლექტიური მეურნეობანი, სასოფლო საბჭონი) სასაძოვრო ნაკვეთების მიჩენის დროს როგორც თავისი რესპუბლიკის შიგნით, ისე მის გარეშე, დასდვან ხოლმე მათთან ხელშეკრულებები ვადით 1937 წლის ბოლომდე და აღნიშნონ ხელშეკრულებებში მიჩენილი ნაკვეთების გაუმჯობესების ღონისძიებანი და ამ ღონისძიებათა აღსრულების ვადები, აგრეთვე სასაძოვრო აგრომინიმუმის ჩატარების ვალდებულება.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მიაწოდოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 1-სა, სასაძოვრო აგრომინიმუმი, რომელშიაც აღნიშნოს ზედმოქმედების კონკრეტული ღონისძიებანი აგრომინიმუმის დარღვევისათვის.

რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზუზრუნველჰყონ აღნიშნული აგრომინიმუმის მიწვდევინება ცალკეულ მოსარგებლებამდე და ჩაატარონ ახსნა-განმარტებით კამპანია აგრომინიმუმის მნიშვნელობის თაობაზე.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს, რესპუბლიკებთან შეთანხმებით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 5 თვის საბოლოო მასალა აზერბაიჯანის სსრ-ისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს სსრ-ის მესაქონლეებზე სომხეთის სსრ-ში ზამთრის საძოვრების ხანგრძლივი ვადით მიმაგრების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრიეევი.

1934 წ. თებერვლის 7.
ტფილისი.

დ ა ნ ა რ თ ი.

ნუსხა 1934-1937 წლებში აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მესაქონლეებისათვის მისაჩენი საზაფხულო საძოვრებისა სომხეთის სსრ-ში.

მახივების სახელწოდება	ფართობების კატეგორიები.					
	I კატეგ.	II კატეგ.	III კატეგ.	გამოუყენ.	დამატებით გამოსაყენები	ჯამი
აზერბაიჯანის სსრ-თვის						
1. აქსტაფისა	5.624	5.530	33	249	—	11.454
2. მისხანისა	—	7.164	665	—	2.363	10.192
3. მაიხემ-სოიუნბულახისა	1.549	1.225	—	19	—	2 793
4. ტარსაჩაიჰ-მურლუზისა	1.379	4.673	—	217	—	6.269
5. მაზრა-გიუნეისისა	—	—	4.096	125	5.871	10.092
6. კეითი-იანიზისა	—	1.096	—	—	2.400	3.496
7. აირიჯისა	—	1.630	—	—	2.039	3.669
8. დარალაგეზისა	11.692	10.568	2.431	1.962	—	26.653
9. სამხრეთ-დარალაგეზისა	3.824	1.459	267	128	—	5.678
10. სისიანისა	3.148	11.502	12.202	5.153	—	32.005
11. გერიუსისა	640	1.440	1.534	639	—	4.253
12. სალვარისა	1.723	4.214	7.778	1.592	—	15.307
13. კაფანისა	220	2.312	3.149	1.456	—	7.137
სულ აზერბაიჯანისა	29.817	52.813	32.155	11.540	12.673	138.998.
საქართველოს სსრ-თვის						
1. აღბაბისა	2.270	—	—	—	—	2270
2. გიუნეიჰ-ყარახაჩისა	710	4.958	—	—	—	5.668
3. ყარახაჩისა	2.688	1.529	1.758	1.419	527	7.921
4. ჩიბუხლისა	1.419	1.137	1.462	77	—	4.095
5. აღლაგანისა	1.115	1.249	642	155	—	3.161
6. ლიალვარ—ლეჯანისა	—	546	1.257	82	—	1.885
სულ საქართველოს სსრ	8,202	9.419	5.119	1.733	527	25.000

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

42. საგაზაფხულო კამპანიის დროს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1934 წელს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლის გეგმა განისაზღვროს შემდეგი მოცულობით:

ღონისძიებათა დასახელება	ა/კსფსრ	აზ. სსრ	სომხ. სსრ	საქ. სსრ
მაროკკოს კალია	25.000 ჰექტ.	20.000 ჰექტ.	—	5.000 ჰექტ.
მქედელა და იტალ. კალია . . .	72.000 „	42.000 „	10.000 ჰექტ.	20.000 „
მინდვრის ფარვანა	36.000 „	20.000 „	1.000 „	15.000 „
მინდვრის თაგვი	302.800 „	70.000 „	150.000 „	82.800 „
ზაზუნა	10.000 „	—	10.000 „	—
დაწამლვა გუდაფშუტის წინააღმ.				
მშრალი მეთოდით .	30.077 ტნ.	2.407 ტნ.	18.000 ტნ.	9.670 ტნ.
ნოტიო მეთოდით . . .	34.594 „	5.271 “	15.300 „	14.023 „
ს ულ	64.671 „	7.678 „	33.300 „	23.693 „
ბამბის მავნებლები	110.000 ჰექტ.	75.000 ჰექტ.	27.000 ჰექტ.	8.000 ჰექტ.
თამბაქოს მავნებლები და დავადება	21.000 „	1.000 „	700 „	19.300 „
ბოსტნის მავნებლები	22.000 „	9.000 „	3.000 „	10.000 „
ბაღჩის მავნებლები და დაავადება	7.565 „	6.000 „	1.000 „	565 „
კარტოფილის დაავადება	9.200 „	8.000 „	200 „	1.000 „
ციტრუსების მავნ. და დაავადება	3.650 „	200 „	—	3.450 „
ბაღის მავნებლები და დაავადება	32 530 „	13.600 „	4.600 „	14.330 „
ჩაის მავნებლები და დაავადება .	9 594 „	—	—	9.594 „
ვენახების წამლობა:				
მილდიუს წინააღმდეგ .	66.451 „	17.000 „	11.500 „	37.951 „
ოიდიუმის წინააღმდეგ	47.701 „	4.250 „	5.500 „	37.951 „
ბრძოლა ყურძნის მავნებლებთან .	10.040 „	1.000 „	—	9.040 „
შაქრის ჭარხლის მავნებლები . .	4.500 „	—	500 „	4.000 „
კანაფის მავნებლები	1.500 „	1.500 „	—	—
არახისის მავნებლები	2.200 „	1.000 „	—	1.200 „
ლუფას მავნებლები	215 „	—	—	215 „
სოიას და სიმინდის მავნებლები .	4.120 „	—	—	4.120 „
ოთხფეხი საქონ. საკვ. ბალახ. მავნ.	6.000 „	2.000 „	1.000 „	3.000 „
სარეველასთან ბრძოლა ქიმ. მეთ.	25.000 „	10.000 „	5.000 „	10.000 „
მეცხოველეობის მავნებლები:				
ტყავის ბორა	930.000 სული	350.000 სული	200.000 სული	380. 000 სულ.
ტკიპა	40.000 „	10.000 „	10.000 „	20.000 „
ცხენის კუჭის ბორა .	13.500 „	5.000 „	5.000 „	3.500 „

II. სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციები, ტრესტები, საბჭოთა მეურნეობები, კოლექტიური მეურნეობები და ინდივიდუალური მეურნეობები ანხორციელებენ სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათ თავიანთი ძალებით და სახსარით, ორგანიზაციების ხელმძღვანელების, ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეების პერსონალური პასუხისმგებლობით.

იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, ბრძოლას სოფლის მეურნეობის მავნებლებთან და დაავადებასთან ანხორციელებენ სათანადო სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

III. დაევალოს მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის სისტემას ა/კსფსრ-ში— მოაწყოს �ელა იმ მეურნეობისათვის, რომელიც ანხორციელებს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას, შხამებისა, მასალისა და აპარატურის მიწოდება და ტექნიკური ინსტრუქტირება დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

IV. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს— დაავალონ რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მავნებლებთან ბრძოლის ტრესტებს:

ა) გაანაწილონ მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებათა მოცულობა, რაც 1-ლ მუხლშია დადგენილი, რაიონებზე და, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების მეშვეობით, დააკისრონ ამ ღონისძიებათა აღსრულება სათანადო სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს;

ბ) დაავალონ სამეურნეო ორგანოებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—შეადგინონ ბრძოლის ჩატარების საწარმოო გეგმები და აგრეთვე წარადგინონ განაცხადები შხამებსა და აპარატურაზე და დასდვან მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ტრესტებთან ხელშეკრულებანი მომარაგებასა და ინსტრუქტირებაზე;

გ) გაანაწილონ და განარიგონ ტექნიკური კადრები ისე, რომ ყველა მეურნეობა მოცულ იქნეს ტექნიკური ხელმძღვანელობით;

დ) დაავალონ ყველა სამეურნეო ორგანიზაციას, საბჭოთა მეურნეობას, კოლექტიურ მეურნეობას და ინდივიდუალურ მეურნეობას—განახორციელოს, სარაიონო საადგილმამულო განყოფილების კონტროლით და მეთვალყურეობით, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები! მიერ შემუშავებული აგროწესები, რომლებითაც გათვალისწინებულია წინასწარ აღმკვეთი ღონისძიებანი მავნებლების გამრავლებისა და გავრცელების წინააღმდეგ;

ე) შეამოწმონ, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების მეშვეობით, სათესლე და სადაზღვეო ფონდების მდგომარეობა ბელელ-საწყობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლექტიურ მეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში მარცვლეულის მავნებლებით დაავადების მხრივ და, უკეთუ აღმოჩენილ იქნება მავნებლები, მოახდინონ დეზინსექცია;

3) ჩაატარონ, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებების მეშვეობით, სანერგე და სათესლე მასალის გამცემი სანერგეების დათვალიერება, უზრუნველყონ საკარანტინო სანერგე და სათესლე მასალის მთლად და თავის დროზე გასინჯვა და შეამზადონ კამერები სანერგე და სათესლე მასალის დეზინსექციისათვის.

V. აღიძრას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი შაბიამანით ამიერკავკასიის სრულიად უზრუნველყოფის თაობაზე 4.200 ტონას რაოდენობით ბაღებისა და ვენახების წამლობისათვის.

VI. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. სამმართველოს—წარმოუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 10-ს მოხსენება სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლისათვის ჩასატარებელი სამომზადებლო მუშაობის მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. თებერვლის 7.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

43. 1934 წელს ა/კსფსრ-ში კვერცხის ცენტრალიზებული წესით დამზადების გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 15-ის თარიღისა და 108 №-ის დადგენილებით განსაზღვრული 1934 წელს ა/კსფსრ-ში კვერცხის ცენტრალიზებული წესით დამზადების გეგმა 50 ვაგონის რაოდენობით განაწილებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად:

აზერბაიჯანის სსრ-ში	18	ვაგონი
საქართველოს სსრ-ში	22	„
სომხეთის სსრ-ში	10	„

2. გეგმის განაწილება დამზადებლებსა და კვარტალებზე მიენდოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში.

3. ამა დადგენილების წესით კვერცხის დამზადების სტიმულირების მიზნით დაწესებულ იქნეს შემხვედრი მიყიდვა კვერცხის ჩამბარებლებისათვის სამრეწველო და სასურსათო საქონლისა, ცალობითი სასოფლო ფასად, ჩაბარებული კვერცხის ღირებულების 200 პროცენტის რაოდენობით.

4. წინადადება მიეცეს ფონდების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან — გამოჰყოს არა ნაკლებ, ვიდრე მთლად საჭირო ფონდების 50 პროცენტი სასურსათო საქონლით (სელდი, შაქარი, ჩაი, საკონდიტრო ნაკეთობა, ფეტვი და ნაფქვის ნარჩენი), ხოლო დანარჩენი ნაწილი—სამრეწველო საქონლით სადეფიციტო ასორტიმენტის სახის, და დააწესოს დამზადებათა რაიონებში საქონლის წარგზავნის ვადები, რისთვისაც ანგარიშში უნდა მიიღოს, რომ საჭიროა საქონელი მივიდეს დამზადებელ პუნქტებში თვითეული კვარტალის დასაწყისში.

5. წინადადება მიეცეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—აცნობოს ფონდების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან დამზადებლებთან შეთანხმებული განაცხადი სამრეწველო და სასურსათო საქონელზე, რაც საჭიროა ა/კსფსრ-ში კვერცხის ცენტრალიზებული დამზადების სტიმულირებისათვის, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე განაწილებით.

6. ამა დადგენილების წესისამებრ კვერცხის დამზადება ჩატარებულ იქნეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. თებერვლის 11-ის თარიღის და 144 №-ის დადგენილებით დაწესებულ სადამზადებლო ფასად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრეევი.

1934 წ. თებერვლის 7.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

44. სათბობი და საცხები მასალით საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო სატრაქტორო სადგურების უზრუნველყოფის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სათბობი და საცხები მასალით მომარაგებისა და ამ მასალის შენახვის და გამოყენების წესის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 74 №-ი, მუხ, 456) და სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1934 წლის იანვრის 15-ის ინსტრუქციის შესაბამისად—დაევალოს „აზნევთტორგს“ (აზ. სსრ-ში), „საქსათბობს“ (საქ. სსრ-ში) და „აიკოოპს“ (სომხ. სსრ-ში) სათბობი და საცხები მასალის მიწოდება (მიყიდვა) საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის, თავიანთი საწყობების მეშვეობით.

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ზემოდ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს—იხმარონ რეალური ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დაუცადებელ და სრულ მომარაგებას ნავთის პროდუქტებით, და შეუთანხმონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს თვითეული სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა და თვითეული საბჭოთა მეურნეობის მომარაგების წესი და გეგმა.

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისირთა საბჭოებს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს—გამოარკვიონ ერთი დეკადის ვადაზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების ნამდვილი საჭიროება ნავთის პროდუქტებისა, გაითვალისწინონ ნავთის პროდუქტების დასაგროვებელი ადგილები და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ადგილებზე ნავთსაცავების მშენებლობას, დააწესონ-რა თვითეული ობიექტის მშენებლობის დამთავრების ვადა ცალკე.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომმისარიატმა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა რეგულარულად უნდა მიაწოდონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია თავიანთ სისტემის ხაზით ნავთსაცავების მშენებლობის მსვლელობის შესახებ.

4. საგაზაფხულო თესვის კამპანიის სათბობი და საცხები მასალით თავის დროზე უზრუნველსაყოფად—მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სათბობი მასალის კომიტეტს—მოაწყოს ნავთის პროდუქტების შეზიდვა რესპუბლიკებში ისე, რომ მათ შესაძლებლობა მიეცეს გაანაწილონ პროდუქტები ცალკეულ ობიექტებზე, განსაკუთრებით მიღმეულ პუნქტებში მდებარე ობიექტებზე.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს („ა/კ. კავშირს", ა/კ. მომარაგების სახალხო კომისარიატს და სხვ.)—წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სათბობი მასალის კომიტეტს განაცხადი თავიანთი სისტემის ხაზით ფაქტიურად საჭირო რაოდენობის ნავთის პროდუქტებზე საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო ეომისარიატს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს—მიაწოდონ სასწრაფო წესით ადგილებს ინსტრუქციები ნავთბაზისების მოწყობისა და სათბობი და საცხები მასალით მომარაგების წესის შესახებ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და დაამყარონ მტკიცე ოპერატიული აღრიცხვა და ანგარიშგების წარმოება ყოველგვარი სათბობი მასალის შემოსავალ-გასავლის და ხელთქონებულობის თაობაზე, აძლიონ-რა პასუხიიგებაში ის პირნი, ვინც უკანონოდ დახარჯავს ნავთის პროდუქტებს ან დახარჯავს დაწესებული ნორმების ზედმეტად.

6. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე მოსმენილ იქნეს სათბობი მასალის კომატეტის ცნობა სათბობი და საცხები მასალით საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომარაგების მსვლელობის შესახებ.

7. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ლ ა ქ ტ ი ო ნ ო ვ ი ს განცხადება, რომ სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებას მიეცა განკარგულება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში გეგმის თანახმად შესაზიდი სათბობი და საცხები მასალის დაუცადებელი დაკრედიტების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. რებერვლის 7.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

45. 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

„1934 წელს ბამბის დათესვისა და კონტრაქტაციის გეგმის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 27-ის თარიღისა და 186 №-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ შრომის მეურნეობებში 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა 141.300 ტონნას რაოდენობით; აქედან—123.000 ტონნა იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები; გეგმა განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებზე შემდეგნაირად (ტონნობით).

რესპუბლიკები	სულ	აქედან კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტ. სადგურები.	აქედან ეგვიპტური ბამბა.
აზერბაიჯანის სსრ	126.300	113.500	17.700
სომხეთის სსრ	11.100	7.400	—
საქართველოს სსრ	3.900	2.100	—
ა/კსფსრ	141.300	123.000	17.700

2. 1934 წელს საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩასაბარებელი ნედლი ბამბის რხოდენობა განისაზღვროს 7.300 ტონნას რაოდენობით.

3 მიეხდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიაწვდინონ 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა რაიონებამდე არა უგვიანეს 1934 წ. თებერვლის 15-სა და უზრუნველჰყონ საქმით კოლმეურნეთა ფართო კრებებზე ყველა იმ ღონისძიების გულდასმით და დაწვრილებით განხილვა, რაც უზრუნველჰყოფს მიწის დამუშავების გაუმჯობესებას და ბამბის მოსავლიანობის გადიდებას.

დასაკონტრაქტებელი პროდუქციის რაოდენობა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ბამბით დასათესი ფართობები დიფერენცირებულ უნდა იქნეს კოლექტიური მეურნეობების თავისებურებათა და შესაძლებლობათა მიხედვით, ანგარიშში 1933 წელს მოწინავე კოლექტიური მეურნეობების მიერ მაღალი მოსავლის მიღების გამოცდილების გათვალისწინებით.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების ტრაქტორცენტრებს—ჩააბარონ რესპუბლიკების საბამბე ტრესტებს ხელშეკრულებებით მთლად ის ნედლი ბამბა, რაც მიღებულ იქნება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლექტიურ მეურნეობებში გაწეული მუშაობისათვის.

5. ნედლი ბამბის კონტრაქტაცია და კოლექტიურ მეურნეობებთან და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებთან ყოველგვარი ანგარიშის გასწორება დაეკისროს რესპუბლიკების საბამბე ტრესტებს, რომელნიც დასდებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს თავიანთი დამმზადებელი პუნქტების მეშვეობით კოლექტიური მეურნეობების დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმებისა და

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის დადებული საწარმოო შეთანხმების საფუძველზე.

ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებთან ხელშეკრულებები დაიდება თვითეულ მეურნეობაში ქონებული მიწების თაობაზე წარმოდგენილი და საბჭოთა საბჭოების მიერ დამოწმებული სიების საფუძველზე, რომლებშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს ბამბით დასათესი ფართობებისა, მუშა-ძალისა და ინვენტარის რაოდენობა.

შენიშვნა. კულაკურ მეურნეობათა ბამბა, რაც ჩაბარებულ უნდა იქნეს საბჭოთა საბჭოების მიერ მიცემული დავალებების წესით, არ დაკონტრაქტდება და ამ ბამბაზე ავანსები არ გაიცემა.

6. დაევალოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს — 1934 წლისთვის კოლექტიური მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენის დამთავრებისას — დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის საწარმოო შეთანხმებათა დადებას და დაამთავრონ მთელი მუშაობა არა უგვიანეს 1934 თებერვლის 20-სა.

ინდივიდუალური მეურნეობებისათვის აგროტექნიკური მომსახურეობის გაწევა დაეკისროს სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს.

7. დაევალოს რესპუბლიკანურ საბამბე ტრესტებს — ბამბის კონტრაქტაცია დაიწყონ 1934 წ. თებერვლის 15-დან და დაამთავრონ არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 15-სა, გაუწიონ-რა, საბამბე ქარხნებისა და დამმზადებელი პუნქტების მეშვეობით, დახმარება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და კოლექტიურ მეურნეობებს თავის დროზე საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენისა და ბამბის მოსავლიანობის გადიდებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების დამუშავების საქმეში.

8. დამტკიცებულ იქნეს 1934 წლისთვის ნედლი ბამბის შემდეგი ხარისხოვანი ფასები (კაპიკობით კილოგრამზე):

ხარისხი	ფასები		
	ამერიკული თესლისა.	ზემო-ეგვიპტური თესლისა,	ქვემო-ეგვიპტური თესლისა.
I ხარისხი გადარჩეული	33	—	—
I „ ნორმალური	32	62	71
II „ მინუსი	30	56	66
III „ „მეჟეუმოკი“	27,5	50	60
IV „ (II ხარისხი)	26	44	54
V „ (III ხარისხი)	24	36	46
VI „ „კუსაკ“-„კურაკ“-ი	23	28	36

9. დატოვებულ იქნეს 1934 წელს მებამბეთათვის ფულადი ავანსების მიცემის შარშანდელი ნორმები და ვადები.

დაევალოს სახელმწიფო ბანკის სამხარეო კონტორას—დააფინანსოს რესპუბლიკების საბამბე ტრესტები მებამბეთათვის ავანსების მისაცემად.

10 ნედლი ბამბის ჩამბარებლები დასაქონლებულ უნდა იქნენ 1934 წელს პურით, ზეთით, კოპტონით, მარცვლეული ფურაჟით და ბამბა-ლინტერით.

განისაზღვროს დასაქონლების შემდეგი ნორმები ერთ ცენტნერ ჩაბარებულ პროდუქციაზე (კილოგრამობით):

	პური	ზეთი	კოპტონი	მარცვ. ფურაჟი	ბამბა-ლინტერი
ამერიკული ჯიშისა . .	55	1	2	2	0,5
ეგვიპტური „ . .	130	2	4	4	1,0

გადიდებულ იქნეს ამერიკული თესლის ბამბის პურით დასაქონლება 20 პროცენტით შემდეგ რაიონებში:

აზერბაიჯანის სსრ—გოგჩისა, საბირ-აბადისა, სალიანისა, ალი-ბაირამლისა, ალდაშისა, ქურდამირისა, ყარადონლისა, ბელასუვარისა და ზანგეზურის რაიონებში.

სომხეთის სსრ—ვედისა, ყამარლუს, ვაღარშაფათისა და ყურდუქლის რაიონებში.

საქართველოს სსრ—ბორჩალოს, ლუქსემბურგისა და ყარაიას რაიონებში.

შენიშვნა. ნატურასასყიდელი არ დაისაქონლება. დაკონტრაქტებული ნედლი ბამბა იმ კოლექტიური მეურნეობებისა, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, დაისაქონლება გადიდებული ნორმებით, რომლის რაოდენობაც განისაზღვრება ისეთი ანგარიშით, რომ თვითეულმა კელექტიურმა მეურნეობამ, რომელსაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტოროს სადგური უწევს, მიიღოს საქონელი მთლად ჩაბარებული ბამბის ერთეულზე (კონტრაქტაცია და ნატურასასყიდელი) დადგენილი ნორმებით.

11. ბამბის დასაქონლება პურით, მარცვლეული ფურაჟით და კოპტონით სწარმოებს რესპუბლიკანური საბამბე ტრესტების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი ნორმირებული პროდუქტებით—სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემების მეშვეობით საბამბე დამმზადებელი პუნქტების მიერ გაცემული ორდერებით. დაეკისროს რესპუბლიკების საბამბე ტრესტების სისტემას-გაუწიოს კონტროლი სამომხმარებლო კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ იმ ნორმირებული სამრეწველო საქონლის წესიერ ხარჯვას, რაც დანიშნულია მებამბეთა მოსამარაგებლად.

12. დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, „ა/კ. კავშირთან“ ერთად, და დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, განსაზღროს ერთი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ საბამბე რაიონებში შესაზიდი საქონლის რაოდენობა, ასორტიმენტი და შეზიდვის საკალენდრო ვადები და წარუდგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს დასამტკიცებლად შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საფონდო კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან.

მიენდოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან და დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულთ—სისტემატურად თვალყური ადევნონ პურისა და სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფაქტიურად შეზიდვას და მებამბეთათვის მიწოდებას და ყოველთვე მოახსენონ ხოლმე ამის თაობაზე აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

13. ნორმირებული სასურსათო და სამრეწველო საქონლიდან მიეცეს მებამბეთ კონტრაქტაციისა, თესვისა და დამუშავების პერიოდში: პური—47%, ხოლო ზეთი, კოპტონი, ბამბა-ლინტერი და მარცვლეული ფურაჟი—50%; ამ საქონლის დანარჩენი რაოდენობა გაცემულ იქნეს ბამბის ჩაბარების დროს, წინად გაცემული ავანსების ჩათვლით.

14. ბამბის პროდუქციის თვისების გაუმჯობესებისა და მინდვრად ბამბის ხარისხობით და წმინდად მოკრეფის მიზნით, მიენდოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—დააწესოს ერთი დეკადის ვადაზე, პურით ბამბის დასაქონლების საშუალო ნორმების მიხედვით, რეალიზაციის პერიოდში ბამბის დასაქონლების დიფერენცირებული ხარისხობითი ნორმები და შეიტანოს ეს ნორმები მებამბეებთან დასადებ ხელშეკრულებებში.

15. განისაზღვროს დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის ჩაბარების შემდეგი ვადები რესპუბლიკებისათვის (პროცენტობით):

რესპუბლიკები	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
აზერბაიჯანის სსრ	16	46	30	8
სომხეთის სსრ	8	44	35	13
საქართველოს სსრ	8	45	35	12

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა შეიმუშაონ საჭირო ღონისძიებანი 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის არა უგვიანეს, ვიდრე 1934 წ. დეკემბრის 20-სათვის ჩაბარების უზრუნველსაყოფად.

16. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების ფაქტიური შესრულებისა და ბამბის წარმოებისა და მოსავლის აღების პერიოდში აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შესამოწმებლად მოწყობილ იქნეს კომისიები დამზადებელი პუნქტის წარმომადგენლისა (თავმჯდომარე), სასოფლო-საბჭოს წარმომადგენლისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის წარმომადგენლის შედგენილობით.

ნორმირებული სასურსათო და სამრეწველო საქონლით მებამბეთა მომარაგება უნდა სწარმოებდეს ზემოაღნიშნული კომისიების აქტების საფუძველზე, რომლითაც დადასტურდება, რომ უწყებულმა კოლექტიურმა მეურნეობამ ოუ ინდივიდუალურმა შრომითმა მეურნეობამ შეასრულა საკონტაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი ბამბის დამუშავებისათვის.

იმ კოლექტიურ მეურნეობას და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობას, რომელიც არ განახორციელებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულების უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფ ღონისძიებათ, უნდა შეუმცირდეს ან სრულიად მ.ოესპოს ნორმირებული საქონლის მიცემა.

17 დამზადებათა კომიტეტის რწმუნებძლი ა/კსფსრ სკს-თან, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოსცემს არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 1-სა ინსტრუქციას, რომლითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემმოწმებელი კომისიების უფლება-მოვალეობანი და მუშაობის მოცულობა.

18. დაევალოს რესპუბლიკების საბამე ტრესტებს—ბამბის კონტრაქტაცია აწარმოონ ისე, რომ კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს მიეცეს კარგი თვისების და გაუმჯობესებული ხარისხის სათესი თესლი ბოტანიკური ჯიშების დარაიონების გეგმის შესაბამისად, რაც მიღებულია ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ, ჰექტარზე დაწესებული განთეისვის ნორმებისათვის.

კონტრაქტანტებისათვის სათესი თესლის მიცემა უნდა სწარმოებდნს მარტოოდენ იმ სერტიფიკატების მიხედვით, რასაც გასცემენ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების კონტროლიორები, რომლებიც ბამბის ქარხნებთან იმყოფებიან.

დაევალოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და ტრაქტორცენტრებს უზრუნველჰყონ სათესი თესლის გაწმენდა კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებში არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 20-სა.

დაევალოს რესპუბლიკების საბამბე ტრესტებს—თესვის მიზნებისათვის დანიშნული თესლის მთელი რაოდენობა, გარდათესვისათვის საჭირო მარაგით, მიზიდონ დამმზადებელ პუნქტებზე არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 1-სა.

ის კონტრაქტანტი, რომელიც დამამზადებელი პუნტის მიერ მიცემულ სათესლე მასალას გამოიყენებს არადანიშნულებისამებრ, მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

19. დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული ა/კსფსრ სკს-თან, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წარუდგენს ხუთი დღის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად ინსტრუქციას ბამბის კონტრაქტაციის წესის შესახებ.

20. დაევალოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან და დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულთ — იქონიონ სისტემატური მეთვალყურეობა საკონტრაქტაციო კამპანიის წესიეოი მსვლელობისათვის ადგილებზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. თებერვლის 7.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 37 №-ში 1934 წ. თებერვლის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

46. **ა/კსფსრ-ში 1934 წლის იანვრის 1-თვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ.**

„1934 წლის იანვრის 1-თვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო ბომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 11-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახელმწიფო, კოოპერატიული და სასოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა სამრეწველო საწარმოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე, სადაც ძრავებია (ელექტრონისა, მექანიკური, ქარისა, წყლისა) ან 3 (სამი) და მეტი მოსაქმე პირია, შინმომუშავე შუშათა ჩართვით, დარეგისტრდეს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორთან საწარმოს სამყოფელი ადგილის მიხედვით და შეავსოს დაწესებული სარეგისტრაციო ბლანკი.

2. რეგისტრაცია ვრცელდება მრეწველობის ყველა დარგის საწარმოზე, მეთევზეობისა, ნადირობისა და ხეტყის დამზადების გამოკლებით.

3. 1934 წ. მარტის 1-დან 15-მდე საწარმონი მოვალენი არიან აცნობონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტურას თავიანთი ადრესები და მიიღონ სარეგისტრაციო ბლანკები. საწარმოთ უნდა წარადგინონ შევსებული ბლანკები სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტურაში არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 5-სა.

4. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს 1934 წ. მარტის 1-დე საჭირო სამომზადებლო მუშაობა, სახელდობრ:

ა) უზრუნველჰყოს სარაიონო (საქალაქო) ინსპექტურისათვის საჭირო რაოდენობის ინსტრუმენტარიის მიწოდება სოციალისტური მრეწველობის სარეგისტრაციოდ ნაციონალურ ენებზე;

ბ) განსაზღვროს რეგისტრაციის წესი ამა დადგენილების 1, 2 და 4 მუხლების შესაბამისად;

გ) მოაწყოს ქალაქებში და რაიონებში საწარმოთა წარმომადგენლების წინასწარი ინსტრუქტაჟი და მისცეს მათ სათანადო დირექტივები სარეგისტრაციო ბლანკების შევსების წესის შესახებ;

დ) მოაწყოს ამა დადგენილების აღსრულების შემმოწმებელი კონტროლი და საწარმოთა მიერ წარდგენილი ცნობების სისწორის შემოწმება—საწარმოთა სპეციალური დავლით და მოიცვას დათვალიერებით არა ნაკლებ დასარეგისტრებელ საწარმოთა 50%-ისა.

5. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს ხოლმე შენდგომადაც, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს დირექტივების თანახმად, სოციალისტური მრეწველობის რეგისტრაცია თვითეულ ორ წელიწადში ერთხელ.

6. დაევალოს ყველა რესპუბლიკანურ, საოლქო და სარაიონო სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—წარუდგინოს, არა უგვიანეს 1934 წ. თებერვლის 15-სა, სათანადო სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ან სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორს თავის სამრეწველო საწარმოთა სია, ზედმიწევნითი ადრესისა, მომუშავე პირათა რიცხვისა და ძრავების აღნიშვნით.

7. დაწესებულ იქნეს, რომ რეგისტრაციისაგან თავის არიდებისა, ან სარეგისტრაციო ვადების შეუსრულებლობისათვის საწარმოს ხელმძღვანელს დაედება ჯარიმა 100 მან. რაოდენობით.

მიენდოს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—აძლიოს ხოლმე პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საწარმოთა ის ხელმძღვანელნი, რომელნიც სარეგისტრაციო ბლანკებში წარადგენენ არასწორ ცნობებს.

8. საქართველოს სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ, ამა დადგენილების თანახმად, სათანადო დადგენილებანი და გამოქვეყნონ ეს დადგენილებანი ადგილობრივ ბეჭდვითს ორგანოებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1934 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას" 22 №-ში 1934 წ. თებერვლის 22-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

47. ა/კსფსრ-ში ყვითელი თამბაქოს სარგავი ფართობებისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 25 თარიღისა და 182 №-ის დადგენილების შესაბამისად და ა/კსფსრ-ში მეთამბაქოობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისა და განვითარების მიზნით, რათა ყოველმხრივ დაკმაყოფილებულ იქნეს სსრ კავშირის მოთხოვნილება თამბაქოს ნედლეულისადმი, რაც თანდათან იზრდება, — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ-ის კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებში 1934 წლის მოსავლის თამბაქოს სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმა შემდეგი რაოდენობით:

კონტრაქტაციის გეგმა.

რესპუბლიკები	რაოდენობა ტონნობით	ფართობი ჰექტარობით
აზერბაიჯანის სსრ	2.140	3.200
სომხეთის სსრ	1.400	2.300
საქართველოს ასსრ	5.110	7.200
აფხაზეთისა ასსრ	7.080	12.000
ა/კსფსრ	15.730	24.700

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული თამბაქოს ნედლეულის მთელი რაოდენობის კონტრაქტაციით მიღების უზრუნველსაყოფად განისაზღვროს კონტრაქტაციით ნედლეულის ჩაბარების (გაყიდვის) სავალდებულო საშუალო რაოდენობა ერთ ჰექტარზე ა/კსფსრ-ში 6,36 ცენტნერი,—ჩაბარების საშუალო ნორმის რესპუბლიკებზე შემდეგი განაწილებით:

რესპუბლიკები	როდესაც მოსავლიანობა 1 ჰექტარზე უდრის ცენტნერობით.	კონტრაქტაციით ჩაბარების ნორმა 1 ჰექტარზე ცენტნერობით
აზერბაიჯანის სსრ	8,5	6,7
სომხეთის სსრ	8,0	6,1
საქართველოს სსრ	9,0	7,1
აფხაზეთის ასსრ	7,0	5,9
ა/კსფსრ	—	6,36

3. დამტკიცებულ იქნეს, სახელმწიფოს სექტორის გარდა, საბჭოთა მეურნეობებში თამბაქოს რგვისა და ჩაბარების შემდეგი გეგმა:

რესპუბლიკები	ფართობი ჰექტარობით	ჩასაბარებელი პროდუქციის რაოდ. ტონნობით.
აზერბაიჯანის სსრ	60	60
სომხეთის სსრ	220	220
სულ	280	280

4. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) გაანაწილონ სამი დღის ვადაზე თამბაქოს რგვის რესპუბლიკანური გეგმა და კონტრაქტაციით თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების (გაყიდვის) საშუალო რაოდენობა რაიონებსა და სექტორებზე.

თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების საშუალო რაოდენობა დიფერენცირებულ უნდა იქნეს ცალკეულ რაიონებსა და სექტორებზე ისეთი ვარაუდით, რომ ჩაბარების ნორმები ინდივიდუალური სექტორის ნარგავებზე მეტი იყოს კოლექტიური მეურნეობებისათვის დადგენილ ჩაბარების ნორმებზე არა ნაკლებ, ვიდრე 10%-ით;

ბ) ნება დართვან მეთამბაქოობის კოლექტიურ მეურნეობებში სხვა ტექნიკური და სახნავი კულტურების დათესვა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც კოლექტიური მეურნეობების თამბაქოს დარგი მთლად უზრუნველყოფილი იქნება მუშა-ძალით;

გ) უზრუნველჰყონ ერთი კვირის ვადაზე რგვის გეგმისა და თამბაქოს ნედლეულის ჩა ბარების რაიონობითი ნორმის მიწვდენა რაიონებამდე, კოლექტიურ მეურნეობებამდე და ინდივიდუალურ შრომითი მეურნეობებამდე და აგრეთვე თამბაქოს რგვისა და მთელი საერთო პროდუქციის ჩაბარების მტკიცე დავალებათა მიცემა კულაკური მეურნეობებისათვის.

5. მოსავლიანობის გადიდების სტიმულირებისა და კონტრაქტანტების უფრო მეტად დაინტერესების მიზნით—უფლება მოეცეს იმ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებს, რომელნიც მთლად შეასრულებენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმას როგორც რაოდენობით, ისე თვისებით საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესაბამისად,—მოახდინონ ზედმეტი თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი რეალიზაცია.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით ჩაბარებულ თამბაქოს ნედლეულზე ზედმეტი თამბაქოს თავისუფალი რეალიზაციის უფლება უნდა მიეცეს კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ შრომითი მეურნეობებს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის მიერ დადგენილ ვადებზე, იმის შემდეგ, როდესაც თვითეულ ცალკე რესპუბლიკაში მთლიანად შესრულებულ იქნება თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმა.

6. უფლება მიეცეს იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელნიც შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებათ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით, გაანაწილონ ზედმეტი თამბაქოს 50% ნატურად შრომა-დღეებზე თამბაქოზე მომუშაყე კოლმეურნეებს შორის შემოსავლის განაწილების წესისამებრ.

7. განისაზღვროს საკონტრაქტაციო ფულადი ავანსის საშუალო რაოდენობა მანეთობით დაკონტრაქტებულ ერთ ტონნა პროდუქციაზე:

აზერბაიჯანის სსრ-ში	450
სომხეთის სსრ-ში	500
საქართველოს სსრ-ში	450
აფხაზეთის ასსრ-ში	750

ავანსები გაიცეს აზერბაიჯანის სსრ-ში, სომხეთის სსრ-ში და საქართველოს სსრ-ში (უაფხაზეთოდ) საწარმოო პროცესების ჩატარების ვადების მიხედვით:

1/2 —იანვარ თებერვალში—სანერგეების განმზადებსსათვის;

1/3 —აპრილში—რგვისათვის;

1/3—ივლისში—მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის.

აფხაზეთში ავანსები გაიცეს: 20%-ის რაოდენობით—1-ლ კვარტალში, 35%-ის რაოდენობით—მე-2 კვარტალში და 45%-ის რაოდენობით—მე-3 კვარტალში.

8. ფულადი ავანსების საერთო თანხა ა/კსფსრ-ში 1934 წლის თამბაქოს მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი დაკონტრაქტებისათვის განისაზღვროს 9. 73.000 მან. რაოდენობით.

9. მეთამბაქოობის სტიმულირების მიზნით დაწესებულ იქნეს დაკონტრაქტებულ მეთამბაქოობის მეურნეობებისათვის მტკიცე სახელმწიფოებრივ ფასად თვითეულ დაკონტრაქტებულ ტონნა თამბაქოს ნედლეულზე შემდეგი პროდუქტების მიცემა (მიყიდვა):

ა) პურისა—საშუალო ნორმის კვალობაზე (მარცვალზე ანგარიშით):

აზერბაიჯანის სსრ-ში	10	ცენტნერი
სომხეთის სსრ-ში	10	„
საქართველოა სსრ-ში	10	„
აფხაზეთის ასსრ-ში	18	„

ბ) შაქრისა—საშუალო ნორმის კვალობაზე 25 კილოგრ. რაოდენობით (ყველა რესპუბლიკაში).

10. დამყარებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის მიცემის (მიყიდვის) შემდეგი წესი:

ა) პურისა; აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ-ში (უაფხაზეთოდ):

1-ლ კვარტალში	10%	
მე-2 „	25%	
მე-3 „	20%	
მე-4 „	45%	(ნედლეულის ჩაბარების კვალობაზე)

აფხაზეთში პური გაიცეს:

მე-2 კვარტალში	25%
მე-3 „	35%
მე-4 „	40%

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში პური გაიცეს დიფერენცირებული ნორმებით—ჩასაბარებელი თამბაქოს ნედლეულის ხარისხის ჯკალობაზე, რაც დადგენილია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსე-

ბული დამზადებათა კომიტეტის მიერ; ეს ნორმები და ხარისხები უნდა ეცნობოს კონტრაქტანტებს არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 15-სა;

ბ) შაქრისა (ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში):

ნორმის 15%—მარგვლის ჩატარების შემდეგ და მოსავლის აღების დაწყების წინ (იელისს-აგვისტოში);

ნორმის 85%—თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებისას.

პური და შაქარი კოლექტიურ მეურნეობებში მიეცეს მარტოოდენ კოლმეურნეთ, მათ მიერ თამბაქოზე გამომუშავებული შრომა დღეების რაოდენობის შესაბამისად.

11. 1934 წლის მოსავლის თამბაქოს დასაკონტრაქტებლად გასაცემი პურის კონტინგენტი (მარცვალზე ანგარიშით) განისაზღვროს 21.394 ტონნას, ხოლო შაქრისა—393,25 ტონნას რაოდენობით.

12. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა—ფულადი ავანსების, პურის და შაქრის საშუალო რაოდენობისა და საერთო ფონდების მიხედვით—უნდა დაადიფერენციროონ ცალკეულ მეთამბაქოობის რაიონებზე ფულადი ავანსების (მე-7 მუხ.), პურის და შაქრის (მე-9 მუხ.) საშუალო ნორმები და, ამასთანავე, გაითვალისწინონ კოლექტიური მეურნეობებისათვის მიცემა:

ა) ფულადი ავანსებისა—30 პროცენტით მეტისა, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობებისათვის, ხოლო საექსპორტო რაიონებსა და ბუდეებში—25%-ით მეტისა, ვიდრე სხვა რაიონებში.

ბ) პურის და შაქრისა—30 პროცენტით მეტისა, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობებისათვის, ხოლო საექსპორტო რაიონებსა და ბუდეებში—25%-ით მეტისა, ვიდრე სხვა რაიონებში.

13. სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნ-ებულმა ა/კსფსრ-ში უნდა მიაწოდოს ორი დეკადის ვადაზე დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებს ექსპორტის გეგმა და კონტრაქტაციის დამატებითი პირობები, რაც უზრუნველჰყოფს საექსპორტო გეგმის აღსრულებას.

14. თამბაქოს რგვისა, დამუშავებისა, მოსავლის აღებისა და დამზადების სტიმულირებისათვის—დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფონდებისა და ვაჭრობის რეგულირების კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან—უზრუნველჰყოს სამრეწველო საქონლის თავის დროზე თამბაქოს რაიონებში შეზიდვა, დაკონტრაქტებული მეთამბაქოობის მეურნეობებისათვის მისაყიდად, წლიური კონტინგენტების ფარგლებში და დამტკიცებული მტკიცე ასსორტიმენტის სახით (მრეწველობის საგასაცემო ფასად):

აზერბაიჯანის სსრ-ში	1.310.000	მანეთის თანხისა
სომხეთის სსრ ში	855.000	„ „
საქართველოს სსრ-ში	3.336.000	„ „
აფხაზეთის ასსრ-ში	7.735.000	„ „
ა/კსფსრ-ში . . .	13.236.000	მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო საქონელი შემოზიდულ იქნეს შემდეგ ვადებზე (წლიური კონტიგენტის მიხედვით):

1-ლ ვვარტალში	17,8%
მე-2 კვარტალში	15,5%
მე-3 კვარტალში	15,5%
მე-4 კვარტალში	51,2%

15. 1934 წელს თამბაქოსათვის კაპიტალდაბანდებათა რაოდენობა განისაზღვროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე შემდეგი რაოდენობით (ათასი მანეთობით):

რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი	სულ დაბანდებანი	აქედან სახელმწიფო კრედიტი
აზერბაიჯანის სსრ	2.022,6	932
სომხეთის სსრ	702	387,7
საქართველოს სსრ	—	1.000
აფხაზეთის სსრ	—	4.000
ა/კსფსრ . . . . . —	—	6.319,7

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა უზრუნველჰყონ სოციალისტური მიწათმოქმედების დაფინანსების ბანკის ხაზით გამოყოფილი კრედიტების გამოყენება მარტოოდენ სპეციალური დანიშნულების მიხედვით (სასათბურო მეურნეობა, ცეცხლსახმობები, მზესახმობები, წყლით მოცვა, ამოძირკვა და სხვა მისთ.).

„სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემამ და „აფთამბაქომ“ უნდა იხმარონ მკვეთრი ღონისძიებანი ამ კრედიტების თავის დროზე და სრულად ათვისებისათვის.

16. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა უზრუნველჰყოს, რათა სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თავის დროზე გამოჰყოს ა/კსფსრ-ში 1934 წელს საპლანტაციო-სატექნიკო ნაგებობათა მშენებლობისათვის შემოსაზიდი საშენი მასალა ცენტრალიზებული ფონდებიდან, და აგრეთვე ამ ფონდების განაწილება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე მშენებლობის გეგმისა და ამ მიზნით გამოყოფილი კრედიტების შესაბამისად

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰონ ადგილობრივი საშენი მასალის თავის დროზე დამზადება ნამდვილი საჭიროების ფარგლებში თვითეული რესპუბლიკის საპლანტაციო-სატექნიკო მშენებლობის გეგმის შესაბამისად.

17. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მინერალური სასუქის შეზიდვა განსაზღვრული კონტინგენტების ფარგლებში.

18. „სოიუზტაბაკსიროის“ სისტემამ და იაფთამბაქომ“ უნდა უზრუნველჰყონ წმინდა ხარისხოვანი თესლის თავის დროზე შეზიდვა მეთამბაქოობის რაიონებში.

19. თამბაქოს სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის ჩატარება, ფულადი ავანსების გაცემა, პურით და შაქრით მომარაგება და აგროსაწარმოო კონტროლის გაწევა დაეკისროს „სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემას და აფხაზეთში—“აფთამბაქოს“.

დაწესებულ იქნეს, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს სდებენ უშუალოდ „სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემა და „აფთამბაქო“ როგორც იმ კოლექტიურ მეურნეობებთან, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, ისე იმ კოლექტიურ მეურნეობებთან, რომელთაც ეს სადგურები მომსახურეობას არ უწევენ—საწარმოო გეგმების სრული შესაბამისობით, ხოლო ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობებთან—სასოფლო საბჭოების მიერ დადგენილი თამბაქოს რგვის გეგმების შესაბამისად.

დაევალოს „სოიუზტაბკსირიოს“ სისტემას და “აფთამბაქოს“—მიიღონ აქტიური მონაწილეობა რაიონებსა და კოლექტიურ მეურნეობებში თამბაქოს რგვის საწარმოო გეგმების შემუშავებასა და შედგენაში.

20. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ, რათა რესპუბლიკანურმა ტრაქტორცენტრებმა აგროსაწარმოო დახმარება გაუწიონ იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, და დააკისრონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს პასუხისმგებლობა თამბაქოს რგვის გეგმის კოლექტიური მეურნეობების თესვის საერთო გეგმაში ჩართვისათვის, თამბაქოს რგვის საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულებისათვის, აგროწესების შესრულებისათვის და ხელშეკრულებებით შეპირობებული რაოდენობით დადგენილი ასორტიმენტის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებისათვის.

მეთამბაქოობის აგროსაწარმოო მომსახურეობა იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მოხსახურეობას არ უწევენ, და ინდივიდუალურ სექტორში აგრეთვე მთელი პასუხისმგებლობა თამბაქოს რგვის და აგროწესების შესრულებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის, მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის და ნედლეულის ჩასაბარებლად განმზადებისათვის დაეკისროს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მათ სისტემას (სარაიონო საადგილმამულო ორგანოებს).

21. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა და სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში,—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—უნდა უზრუნველჰყონ, რათა სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხაზით გამოყოფილ იქნეს ა/კსფსრ-თვის სათანადო კრედიტე-

ბი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის (სამანქანო სატრაქტორო სადგურები, სარაიონო საადგილმამულო ორგანოები) მუშაობის დასაფინანსებლად და სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით იმ აგროკონტროლის მოსაწყობად, რასაც ანხორციელებს „ტაბაკსირიოს“ სისტემა.

22. დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულებთან არსებულმა სათვისებო სახელმწიფო ინსპექციებმა უნდა უზრუნველჰყონ კონტროლი ინსტრუქტაჟის წესიერად ჩატარებისათვის და თვით ინსტრუქტაჟი მეთამბაქოობის მეურნეობების მიმართ—სანერგე მეურნეობისა, თამბაქოს რგვისა, ბოსავლის დროს და მოსავლის აღების შემდეგ დამუშავების მხრით, და აგრეთვე იქონიონ სისტემატური მეთვალყურეობა, რათა შესრულებულ იქნეს სათვისებო რესპუბლიკანური სახელმწიფო ინსპექციების ყველა დირექტივა თამბაქოს ნედლეულის თვისების გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

23. თამბაქოს სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაცია გაშლილ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 1-სა ამასთანავე, გაშლილ უნდა იქნეს ფართო მასსურა ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის.

24. თამბაქოს კონტრაქტაცია ჩატარებულ იქნეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის მიერ დამტკიცებული ტიპური საკონტრაქტაციო ხელშეკრულების საფუძველზე

25. წინადადება მიეცეს „სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემას და „აფთამბაქოს“ წარუდგინონ ხოლმე დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ სკს-თან და დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს ხუთდღიური ცნობები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების მსვლელობის შესახებ.

26. გავრცელებულ იქნეს სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „პურის დამმზადებელი ორგანიზაციების (სრულიად საკავშირო შენაერთი „ზაგოტზერნო“) მომუშავეთა მომარაგების ნორმების შესახებ“ „სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემისა და „აფთამბაქოს“ ყველა მომუშავეზე, ვინც მოსაქმეობს თამბაქოს დამმზადებელ პუნქტებში, თამბაქოს საწყობებში, დამმუშავებელ პუნქტებში და საფერმენტაციო ქარხნებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრეევი.

9934 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

საქ. სახკომსაბჭოს სტამბა

მთავლ. რწმ. ა—№ 105. დაკვ. № 1002. ტირაჟი 800 ც.